ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 17 იანვარი, 2020 №13 (8277) ფასი: 60 თეთრი

„მან მოინდომა, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები იარაღის ძალით გაეძევებინა“

გიორგი იჩუკაიძეს პატიმრობა შეეფარდა

გვ.5

„ივანიშვილი კალაძეზე იერიშს მიიტანს“

გვ.2

ლევან ხაბეიშვილი: „ორმა ყაჩაღმა ფული ვერ გაინაწილა“

გვ.3

„კალაძემ ოპოზიციის ლიდერებს ივანიშვილის მოშორებაში დახმარება შესთავაზა“

ალეკო ელისაშვილი: „კალაძის გარემოცვას იჭერენ, ამიტომ ის ოპოზიციაში გადასვლაზე ფიქრობს“

„პირველი, ვისაც ბრალი უნდა წაეყენოს, არჩილ კბილაშვილია“

გვ.4

შალვა ხაჭაპურიძე: „ჩვენ არაფერი გვეშველება. მოკლედ ვიტყვი, მონღოლეთში ვცხოვრობთ“

„გამყიდველი პოლიტიკოსები რომ ყვიროდნენ, დავითგარეჯი საქართველოაო, ახლა გაყურსულები რატომ არიან?“

გვ.4

ნიკოლოზ მჟავანაძე: „აზერბაიჯანთან ენის მოჩლექით საუბარი კარგის მომტანი არ არის“

გვ.3

გედევან ფოფხაძე: „არც „ოცნება“, არც ნაციონალები!“

„უნდა გაკეთდეს დიდი გაერთიანება ამ 2 ძალის გარეშე“

ომელაური არაბთა გაერთიანებული საემიროების ელჩს შეხვდა

გვ.2



გვ.3

გრიგოლ ლილუაშვილი საქართველოში ბრიტანეთის ელჩს შეხვდა

ISSN 1987-9385

5 გიგა ბუკია: „მინისტრების ხშირი ცვლით ხალხს სტაბილურობის განცდა ეკარგება“

2 ირაკლი შოთაძე გენპროკურორად ბრუნდება?

5 გორში ქალმა თვითმკვლელობა ცადა
დაკავებულია მისი ქმარი, ა.რ.

6 რუსეთის ახალი პრემიერი მიხეილ მიშუსტინი გახდა

„ივანიშვილი კალაძეზე იერიშს მიიტანს“

ლევან ხაბეიშვილი: „ორმა ყაჩაღმა ფული ვერ გაინაწილა“

იაგო ნაცვლიშვილი

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის თანახმად, პარტიულ რეიტინგებში ისევ „ქართული ოცნებაა“ პირველ ადგილზე, თუმცა მას მხოლოდ 20%-იანი რეიტინგი აქვს. მეორე ადგილზე მყოფ ნაციონალურ მოძრაობას 13% აქვს, ხოლო „ევროპული საქართველოსა“ და თავისუფალი დემოკრატების ბლოკს – 8%. არც ერთ პარტიას არ უჭერს მხარს 14%, კითხვაზე პასუხზე უარი თქვა ასევე 14%-მა, ხოლო 12%-მა არ იცის.

რაც შეეხება მოწონებად ფიგურებს, დავით ბაქრაძე და კახა კალაძე ლიდერობენ, ხოლო ის ფიგურები, რომლებიც ყველაზე მეტად არ მოსწონთ, ბიძინა ივანიშვილი და სალომე ზურაბიშვილი არიან.

როგორ აფასებს კვლევის შედეგებს, რით აიხსნება კალაძის მაღალი რეიტინგი და ამით უნდა აიხსნას თუ არა მერიის წინააღმდეგ დაწყებული გამოძიებები? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **ლევან ხაბეიშვილი** საუბრობს.

– მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას აქვს ცუდი შედეგი, არც ოპოზიცია ხართ კარგ მდგომარეობაში. რა პერსპექტივას ხედავთ ამ თვალსაზრისით?

– ძალიან მარტივი შესაფასებელია. რანაირად შეიძლება, ოპოზიცია არ იყოს კარგ მდგომარეობაში, მაშინ როდესაც მხოლოდ ორი პარტიის ერთიანი რეიტინგი სჯობია „ქართული ოცნების“ რეიტინგს, ვგულისხმობ ნაციონალური მოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ რეიტინგს. მხოლოდ ეს არის საკმარისი იმისათვის, რომ „ქართულ ოცნებას“ თუნდაც პარტიულ რეიტინგში აჯობოს. თუმცა აქ მხოლოდ პარტიულ რეიტინგებზე ხომ არ არის საუბარი!

– ამით კმაყოფილდებით?

– ვკმაყოფილდებით რა შუაშია? ნახეთ,

ჩვენ ვუყურებთ იმას, მოსახლეობის განწყობასთან რაც უფრო ახლოს არის პარტია, მათ შორის ოპოზიცია. ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი. პოლიტიკაში იმისთვის ვართ, რომ ადამიანების განწყობასთან ვიყოთ ახლოს, მაშინ როდესაც ადამიანების 70%-ზე მეტი ამბობს, რომ ქვეყანას ცუდი ხელისუფლება ჰყავს და არასწორად ვითარდება. ეს აჩვენებს, რომ ოპოზიცია უფრო ახლოს არის ხალხთან, ვიდრე ხელისუფლება. ეს არის რეალობა.

მით უმეტეს ნაჩვენებია ინსტიტუციების მუშაობა. პარლამენტის მუშაობა კატასტროფულად არის შეფასებული. სასამართლოს საქმიანობა კატასტროფულად არის შეფასებული. შესაბამისად, ეს კვლევები აჩვენებს ერთ რამეს, რომ „ქართული ოცნება“ არის დასრულებული, დანარჩენი კი დამოკიდებულია ოპოზიციასა და ქართველ ხალხზე.

– არ ვკამათობთ იმაზე, რომ ხელისუფლება საშინელ მდგომარეობაშია და მოსახლეობაში ნდობა სრულად დაკარგული აქვს, მაგრამ შევაჯამოთ ის მონაცემები, სადაც ამომრჩევლები ამბობენ, რომ ან არ მიდიან არჩევნებზე, ან არ აქვთ გადაწყვეტილი, ან არცერთ პარტიას არ აძლევენ ხმას. 35-40%-მდე ადის ეს მაჩვენებელი.

– ჩვენნაირ ქვეყანაში ეს არის მარტივი, როდესაც დემოკრატიის ხარისხი არის დაბალი. კითხვაზე, არის თუ არა ქვეყანაში დემოკრატია, 53% პასუხობს, რომ – არა. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს ეშინიათ.

გგონიათ, რომ ის ხალხი მართლა გადაუწყვეტელია და მათ დიდ ნაწილს არ აქვს გადაწყვეტილი, რას და როგორ გააკეთებს?! ასეთ ვითარებაში ნორმალურია, როცა ოპოზიციური ხმები იმალება გადაუწყვეტელ ამომრჩეველში. ამ ქვეყანაში ადამიანებს ეშინიათ თავიანთი პოლიტიკური ნების გამოხატვის. მათ რომ ღიად თქვან, რომ ოპოზიციას უჭერენ მხარს, მათ ოჯახის წევრებს ექმნებათ პრობლემა. ეს ახალი რამეა, პოლიტიკური დევნა არ არის ქვეყანაში. თუ იცით რომელიმე პარტია ოპოზიციაში, რომელზეც საქმე არ არის აღძრული, გარდა ირმა ინაშვილის პარტიისა?! იქით ხაზარაძეა, აქეთ – ირაკლი ოქრუაშვილი. მითხარით პარტია, რომლის ლიდერებზეც სს საქმე არ არის აღძრული. ვთქვათ, თუ უფროსი ბერძენიშვილების დაჭერას ერიდებიან, შვილი დაუჭირეს ადმინისტრაციული წესით. ქვეყანაში სრული პოლიტიკური დევნაა.

ამას მხოლოდ ოპოზიცია კი არ ვამბობთ, ეს ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში, რომ სასამართლო და პროკურატურა ვერ გათავისუფლდა პოლიტიკური კომპონენტებისგან. ქვეყანაში არის დიქტატურა, არის ოლიგარქი, რომელიც ამყარებს დიქტატურას.

ვნახეთ, რაც გააკეთა დასავლეთმა მოლდოვის ოლიგარქი მმართველის წინააღმდეგ და ბიძინა ივანიშვილსაც არ ელოდება კარგი დღეები. ის, რომ აი ოპოზიცია მძიმე მდგომარეობაშია და ა.შ. არის ბიძინა ივანიშვილის რიტორიკა, რომ ოპოზიცია მძიმე მდგომარეობაშია. ოპოზიცია კი არა, ქვეყანაა მძიმე მდგომარეობაში.

– ივანიშვილის რიტორიკით ნამდვილად არ ვსაუბრობ და ამას ვერ დამდებთ ბრალად.

– არა, თქვენ რა შუაში ხართ. ამაზე ზოგადად ვსაუბრობ. ბიძინა ივანიშვილის რიტორიკაა ეს, რომ ქვეყანაში უნდა იყოს ნიჰილიზმი და უიმედობა. თურმე თალაკვაძის, მდინარაძისა და ვოლსკის ალტერნატივა არ არსებობს ქვეყანაში. თქვენ რა შუაში ხართ, ეს არის ბიძინა ივანიშვილის პროპაგანდა, რომლის მიზანიც არის, ადამიანებში დათესოს ნიჰილიზმი და უიმედობა. მე ეს თქვენზე კი არ მითქვამს, ზოგადად ვთქვი. მე არ უნდა გავიმეორო ეს, თორემ თქვენი საქმეა, რას მკითხავთ და როგორ. ბიძინას პროპაგანდაა, რომ მიშა არის ბუა.

– მუდმივად აკრიტიკებთ თქვენც და ოპოზიციის სხვა ლიდერებიც კალაძეს, მაგრამ დავით ბაქრაძესთან ერთად ის საკმაოდ რეიტინგული ფიგურაა. რა ახსნა აქვს ამას პირადად თქვენთვის?

– ხმის მიცემა ერთია და მოწონება-არმოწონება – მეორე. გაგახსენებთ, რომ მოწონების რეიტინგში ლიდერებს შორის იყო დავით უსუფაშვილი, როდესაც ის იყო პარლამენტის თავმჯდომარე. მას ჰქონდა 60%-იანი მოწონება, ხოლო როცა პარტია გააკეთა, არჩევნებზე გავიდა და ხმის მიცემაზე მიდგა საქმე, მხოლოდ 1% აიღო.

იმავე დავით ბაქრაძეს, რომელსაც პირადად არაფერს ვერჩი, მოწონების რეიტინგში მუდმივად აქვს 45-50-60%, მაშინ როცა საპრეზიდენტო არჩევნებზე მან მიიღო 9%.

ის, რომ კალაძეს მოწონების რეიტინგში აქვს 34%, ნიშნავს იმას, რომ ის არის მაღალი კლასის პოლიტიკოსი?! მის პიარში მილიონობით ლარი იხარჯება დედაქალაქის ბიუჯეტიდან. ის არ არის შინაგან საქმეთა მინისტრი ან

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ირაკლი შოთაძე გენპროკურორად ბრუნდება?

საპროკურორო საბჭოს საქართველოს გენერალური პროკურორის ვაკანტურ თანამდებობაზე საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა იურისტ ირაკლი შოთაძის კანდიდატურა წარუდგინა.

ირაკლი შოთაძის გენპროკურორად შესაძლო დაბრუნებამ საზოგადოებაში დიდი ალიაქოთი გამოიწვია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მოუწოდებს საპროკურორო საბჭოს, გენერალური პროკურორის თანამდებობაზე ირაკლი შოთაძის კანდიდატურას მხარი არ დაუჭიროს.

ორგანიზაციის შეფასებით, შოთაძეს დაკარგული აქვს საზოგადოების ნდობა და მის საქმიანობასთან დაკავშირებით დღემდე არსებობს პასუხგაუცემელი კითხვები.

ირაკლი შოთაძის კონკურსში მონაწილეობა აჩენს ეჭვს, რომ მისი კანდიდატურის პარლამენტში წარდგენა და გენერალურ პროკურორად არჩევა წინასწარ არის გადაწყვეტილი და შერჩევის პროცესი ფიქტიურ ხასიათს ატარებს.

„2018 წლის 31 მაისს ირაკლი შოთაძე ხორავას ქუჩაზე ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმის არასათანადო გამოძიებისა და საზოგადოების მწვავე პროტესტის ფონზე მთავარი პროკურორის პოსტიდან გადადგა. პროკურატურისა და შსს-ს მხრიდან არაობიექტური და მიკერძოებული პროცესის ჩატარების შესახებ ეჭვები მირზა სუბელიანის ციხის ჩანაწერებმაც გააღრმავა.

დავით სარალიძის მკვლელობასთან დაკავშირებით სასამართლოს დღემდე არ აქვს მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, ხოლო მირზა სუბელიანის მიერ გამოძიებაზე შესაძლო ზეგავლენის განხორციელებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებულ კითხვებს ამომწურავი პასუხი არ გასცემია.

პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ საქმის შესწავლისას არაერთი ხარვეზი და კანონდარღვევა აღმოაჩინა, რასაც ეფექტიანი რეაგირება არ მოჰყოლია, აცხადებენ ორგანიზაციაში.

მისი აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური მიიჩნევს, რომ პროცესი ფორმალურია, ხოლო ვინ გახდება გენერალური პროკურორი – გადაწყვეტილია.

– ეს კონკურსი ფორმალობა იყო და თავიდანვე გადაწყვეტილი არის, ვინ გახდება გენერალური პროკურორი. ბატონ შოთაძესთან დაკავშირებით საზოგადოებას ჰქონდა ბევრი კით-

ხვის ნიშანი, ზუსტად სარალიძის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით. დაახლოებით 30-მდე საქმეა, რომელთა დაკავშირებითაც ჩვენ გავაგზავნეთ წერილი პროკურატურაში და წერილი არ მიგვიღია.

ჩვენ 2020-ში გვექნება ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები, რა თქმა უნდა, ხელისუფლების მიზანი უნდა იყოს, რომ განსაკუთრებით ამ პერიოდში კითხვის ნიშნები არ არსებობდეს საგამოძიებო ორგანოების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, – განაცხადა ეკა გიგაურმა.

ირაკლი შოთაძის გენპროკურორად შესაძლო დაბრუნებას ზაზა სარალიძე ფეისბუქში გამოეხმაურა.

მან დაწერა:

„მე არაერთხელ მითქვამს, რომ ჩემი ბრძოლის მთავარი მიზანი იყო დამნაშავეების სრული სიმკაცრით დასჯა. დათუჩას საქმეზე კონკრეტული ადამიანების თუ მთავრობის პასუხისმგებლობას ვაყენებდი სწორედ იმის გამო, რომ არ მქონდა სამართლიანობის განცდა, არ მქონდა შეგრძნება, რომ ყველაფერი სწორად მიდიოდა. სამწუხაროდ, ძალიან ბევრმა ჩემი ოჯახის ტრაგედიის გამოყენება პირადი ქულების ჩასაწერადაც კი სცადა!!!

ახლაც გრძელდება ჩემი ოჯახის მიმართ კონკრეტული პირებისგან უსაფუძვლო ბრალდებები!!!

ახლა საქმე მიდის სწორი მიმართულებით. დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოოდ აღდგება სამართლიანობა და ყველა დამნაშავე აუცილებლად, კანონის სრული სიმკაცრით აგებს პასუხს. არ მაქვს არანაირი პრეტენზია, არ მაქვს არანაირი საფუძველი, რომ არ ვენდო გამოძიებას ამ ეტაპზე.

ამიტომ, ჩემთვის არანაირ მნიშვნელობას არ წარმოადგენს ბატონი ირაკლი შოთაძის გენპროკურორად დაბრუნება.

ვფიქრობ, რომ ამ საქციელით მას სურს დაგვანახოს თავისი უდანაშაულობა დათუჩას მიმართ და ღირსეულად ბრძოლის ველზე დაბრუნებად შევაფასებ!!!

დაველოდები მისგან ღირსეულ ნაბიჯებს და აუცილებლად ბოლომდე მივყვები ამ საქმეს რათა ყველა დამნაშავე სათანადოდ დაისაჯოს და არავინ დარჩეს დაუსჯელი!!!!!

ყველას დავაფასებ, ვინც სიმართლეს დააფასებს!!!“

როგორც ჩანს, მმართველი გუნდი ირაკლი შოთაძის კანდიდატურას მხარს დაუჭერს.

– თუ საპროკურორო საბჭო ირაკლი შოთაძის კანდიდატურას წარმოადგენს, მე მას მხარს დავუჭერ, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ.

მდინარაძის თქმით, შოთაძე ღირსეული და თავისი საქმის პროფესიონალი ადამიანია.

– გუნდის სახელით ჯერ ვერ ვილაპარაკებ, ჩემს პირად პოზიციას გეტყვით, თუმცა არ მგონია, რომ გუნდს განსხვავებული პოზიცია ჰქონდეს. თუ საპროკურორო საბჭო ირაკლი შოთაძის კანდიდატურას წარმოადგენს, მე მას მხარს დავუჭერ. ჩემი აზრით, გუნდიც ამ აზრზე იქნება იმიტომ, რომ ეს არის ღირსეული და პროფესიონალი კაცი. თავის დროზე, ასევე ღირსეული გადაწყვეტილება მიიღო.

თუ ვიღაცას მაინც უჩნდებოდა მის მიმართ კითხვა, რომ ის ხელს შეუშლიდა ხორავას ქუჩის საქმეზე გამოძიებას, მან მიიღო ღირსეული გადაწყვეტილება. თავისი გზავნილით თქვა, რომ ყველა სკამი არის დროებითი და თანამდებობის დატოვება პრობლემას არ წარმოადგენს.

როდესაც იქ ყველაფერი გარკვეულია, როდესაც გამოძიება მიდის და კითხვის ნიშნები პრაქტიკულად აღარ არსებობს, მან, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ ისევ იყოს გენერალური პროკურორობის კანდიდატი. როგორც ღირსეულსა და თავისი საქმის პროფესიონალს, მე მას მხარს დავუჭერ, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

გომელაური არაბთა გაერთიანებული საემიროების ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური საქართველოში არაბთა გაერთიანებული საემიროების ელჩ ესა აბდულა ალ ბაშა ალ ნოაიმის შეხვდა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ორ ქვეყანას შორის სამართალდაცვით სფეროში მიმდინარე საკითხები განიხილეს, სამომავლო ურთიერთობის პრიორიტეტულ მიმართულებებსა და თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს.

მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული სიგარეტი გამოავლინეს

„წითელი ხიდის“, „ყაზბეგისა“ და „სარფის“ საბაჟო-გამშვებ პუნქტებში სიგარეტის კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათივე ცნობით, სამართალდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი და სანქციის სახით ფულადი ჯარიმა დაეკისრათ.

„საბაჟო-გამშვებ პუნქტებში: „წითელი ხიდი“, „ყაზბეგი“ და „სარფი“ სიგარეტის კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ფიზიკური დათვალიერების შედეგად, ჯამში, 18,040 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი და თითოეულს სანქციის სახით ფულადი ჯარიმა ათას-ათასი ლარის ოდენობით შეეფარდა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კალაძემ ოპოზიციის ლიდერებს ივანიშვილის მოშორებაში დახმარება შესთავაზა“

ალეკო ელისაშვილი: „კალაძის გარემოცვას იჭერენ, ამიტომ ის ოპოზიციაში გადასვლაზე ფიქრობს“

ნონა ცაბაძე

ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ კახი კალაძეს ძალიან მალე სერიოზული პრობლემები შეექმნება. მის უახლოეს გარემოცვას ძალოვან უწყებებში დაარბენინებენ და მალე დაკავებებიც დაიწყება. ამის შესახებ „ახალი თაობა“ **ალეკო ელისაშვილს** ესაუბრა.

– ალეკო, ენდიაის გამოკითხულები უმრავლესობის ლიდერებიდან ყველაზე დადებითად კახი კალაძის საქმიანობას აფასებენ. ამ ფონზე კი თქვენ სრულიად სხვა ინფორმაციებს ავრცელებთ და მისი გარემოცვის დაჭერებს აანონსებთ. რა ინფორმაციებს ფლობთ?

– თუ დააკვირდებით, თვეზე მეტია, კალაძის გარემოცვის ხალხს დაარბენინებენ სუსსა და ანტიკორუფციულში. ასევე „არქი ჯგუფთან“ დაკავშირებით დაკითხვები მიმდინარეობს გაშმაგებით. ისიც ვიცით, რომ „არქი ჯგუფის“ ხელმძღვანელი, დეპუტატი წულაია და კახი კალაძე ბიზნესპარტნიორები და ბავშვობის მეგობრები არიან. ისინი კორუფციულ სქემაში არიან გახვეული.

– ანუ თავად კალაძეა ჩაფლული კორუფციაში. ამის თქმა გინდათ?

– რა თქმა უნდა! ვინც ოდნავ მაინც არის საქმეში ჩახედული, ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ კალაძე და „არქი ჯგუფი“ არიან ბიზნესპარტნიორები და კალაძე ამ კომპანიას კაპიკებში აძლევს ბიზნესპროექტებს, რომ იტყვიან, პირდაპირ საჩუქრად.

– ორიოდე დღის წინ კალაძემ მკაცრი მითითებები გასცა, კორუფციას შეეშვითო, ანუ აქვს ინფორმაცია, რომ ცუდად არის საქმე?

– რა თქმა უნდა. ეს იყო პრევენციული განცხადება, რომ თუ დაიჭერენ მისი გარემოცვის წევრებს, იტყვის, მე ხომ გაფრთხილებდითო. მე მაქვს ეს ინფორმაცია და, რა თქმა უნდა, მასაც აქვს, რომ ივანიშვილი აპირებს მისი უახლოესი გარემოცვის წევრების დაკავებას უახლოეს პერიოდში.

აი, ამას ემსახურება ეს ყველაფერი. მან პრევენციულად თქვა, რომ, აი, თითქოს ის ემიჯნება წინასწარვე კორუფციულ ამბებს. თუმცა, რაც უნდა პრევენციები ახდინოს კალაძემ, იმ დაჭერების მიზანი იქნება ის, რომ დაჭერილმა თანამდებობის პირებმა კალაძეც დაასმინონ.

– შეიძლება ითქვას, რომ კალაძის საქმე ცუდად არის?

– ასეა, კალაძის საქმე აშკარად ცუდად არის.

– იტალიაში წარმოებულ შესყიდვებშიც კორუფციული სქემა იკვეთება?

– ძალიან მარტივია ეს ყველაფერი. აბა შეხედეთ, კალაძე რაც მოვიდა, მას შემდეგ თბილისის მერია ყველაფერს ყიდულობს იტალიაში, აბსოლუტურად ყველაფერს! საახალწლო თუ ჩვეულებრივ განათებებს, ნაძვის ხეებს, სკამებს, ქუჩის ავეჯს, ნაგვის ყუთებს, აბსოლუტურად ყველაფერს ყიდულობს იტალიაში. ამას კორუფცია ჰქვია, აბა რა?!

აქამდე რატომ არ იყვნენ იტალიური კომპანიებითა და იქ შესყიდვებით დაინტერესებული?! არ არიან ჩართული ტენდერებში, ძალიან დიდი ნაწილი პირდაპირი შესყიდვებია და ეს პირდაპირი შესყიდვები კორუფციის უზარმაზარ რისკებს შეიცავს.

იქ ვიღაცებთან არის გარიგებული და მიდის „ატკატები“ და ათასი მამაძაღლობა. ეს ორჯერ ორი ოთხია. დიდი ანტიკორუფციული და ოპერატიული საქმიანობაც კი არ სჭირდება ამის გამოძიებას, იმდენად ხელისგულზეა ყველაფერი. მეორე საკითხია „არქი ჯგუფის“ საქმიანობა.

– „არქი ჯგუფის“ ხელმძღვანელობა კალაძის უახლოეს გარემოცვაში შედის?

– ილია წულაია არის დიდუბის დეპუტატი, ილია წულაია არის სამტრედიელი, სამტრედიელია კალაძეც და ბავშვობის მეგობრები არიან ისინი. მანამდეც, კალაძის მერობამდეც, ბიზნესპარტნიორები იყვნენ, ნუცუბიძეზე ერთად აეშენეს კორპუსი, მანამდეც რაღაც რესტორანი ჰქონდათ. ისედაც ბიზნესპარტნიორები იყვნენ და, რაც თბილისის მერი გახდა, საერთოდ გაჯეჯილდა, „არქი ჯგუფი“ მთავარი დეველოპერული კომპანია გახდა. რისი წყალობით? იმის წყალობით, რომ ნებართვებს აძლევს ლიწინ-ლიწინით და კაპიკებში.

– ბევრ კორუფციულ სქემას ამოუქექავენ კალაძეს?

– ამოუქექავენ, აბა, რას იზამენ. სუსში გაშმაგებით მიდის უკვე ეს პროცესები ბოლო დღეებია.

– არ არის გამორიცხული, კალაძე მალე ოპოზიციაშიც ვიხილოთო და ამას თავის გადარჩენის მიზნით გააკეთებს, პოლიტიკური განცხადებები აკეთოს და ველარ შეეხონ თუ რა აქვს გამიზნული?

– მე მაქვს ინფორმაცია, რომ კახი კალაძემ რამდენიმე ოპოზიციურ ლიდერს შეუთვალა, რომ თუ თავს დაანებებენ მას, ის დაეხმარება მათ ივანიშვილის ჩამოგდებაში.

– ვინ არიან ეს ოპოზიციონერი ლიდერები?

– გვარებს ახლა რა მნიშვნელობა აქვს, ისედაც იცით, ვინც არიან ლიდერები. სადაც მე ვიცი ეს ინფორმაცია, ცხადია, ივანიშვილმა ჩემზე ადრე იცოდა, იმიტომ, რომ ივანიშვილი ყველაზე მეტს ისევ საკუთარ ხალხს უსმენს, მით უმეტეს, ისეთ არასანდო პიროვნებას, როგორიც კახი კალაძეა.

კალაძე ისეთია, რომ საკუთარი ინტერესებისთვის გაწირავს ყველასა და ყველაფერს, მით უმეტეს, ახლა ხედავს, რომ გემი იძირება, ივანიშვილის საქმე ცუდად არის და ახლა კალაძე ცდილობს თავის გადარჩენას. ივანიშვილიც უყურებს, უსმენს, უთვალთვალებს და ასე იოლად არ გამოუვა ეს კალაძეს.

– რამდენად მოახერხებს კალაძე, რომ ჰოპ და უცებ ოპოზიციონერი გახდეს?

– არ ვიცი, ეს რამდენად გამოუვა. ისეთ კორუფციაშია ჩართული, რომ რამ უნდა უშველოს, არ ვიცი.

– შეიძლება, რომ დაიჭირონ?

– ივანიშვილის ხელში არავინ არაფერს

გამორიცხავს. ყოველ შემთხვევაში, გაანეიტრალებენ მაინც. ჩვენ ვხედავთ, კვირიკაშვილი როგორ არის განეიტრალებული, ხოლო მისი გარემოცვის წევრებს, ქუმსიშვილსა და ალავიძეს, დაარბენინებენ პროკურატურაში. როგორც კი რამეზე ხმას ამოიღებს ხოლმე კვირიკაშვილი, იმწამსვე აქტიურდება იმ ძველ საქმეებზე პროკურატურა.

– მერობის ვადას არ ამოაწურვინებენ?

– არ ვიცი, ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეირყევა თვითონ ივანიშვილი და ივანიშვილი კარგად ირყევა უკვე. არ მინდა ზედმეტი ნაცარქექაობა, მე მინდა, ვილაპარაკო ფაქტებით. რას იზამენ, არ ვიცი, მაგრამ ამ მოცემულობით ვიცი, რომ კალაძის გარემოცვის წევრებს იჭერენ. ისიც ვიცი, რომ კალაძე ფიქრობს ოპოზიციაში გადასვლას, რომ ამით თავი დაიცვას, ხოლო რა და როგორ იქნება, დაველოდოთ.

– ივანიშვილის სავარძელი ირყევაო და რა პროცესებს ელოდებით?

– დარწმუნებული ვარ, ოქტომბერში თუ ვადაზე ადრე, წელს დასრულდება ყველაფერი. „ქართული ოცნებისთვის“ ეს არის ბოლო წელი! ამაში ვარ აბსოლუტურად დარწმუნებული.

ჯანჯღარი გველის, რამდენად დიდი და რამდენად პატარა, ეს არის გასარკვევი, თორემ, ეს ხელისუფლება რომ უნდა წავიდეს, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

გრიგოლ ლილუაშვილი საქართველოში ბრიტანეთის ელჩს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩ ჯასტინ მაკენზი სმიტთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას ესწრებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის უფროსი ირაკლი ჩიმაკაძე.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის უსაფრთხოების სფეროში არსებული თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს. გრიგოლ ლილუაშვილმა და ჯასტინ მაკენზი სმიტმა მსოფლიოსა და რეგიონში მიმდინარე პროცესები მიმოიხილეს. საუბარი შეეხო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და დიდი ბრიტანეთის შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის განმტკიცების მნიშვნელობასა და მომავალ გეგმებს.

პარლამენტში სუსის წარმომადგენლებმა ოკუპირებულ აფხაზეთში განვითარებული პროცესების შესახებ ინფორმაცია წარადგინეს

პარლამენტში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხთა დროებითი კომისიის სხდომაზე ოკუპირებულ აფხაზეთში ბოლო პერიოდში განვითარებული პროცესების შესახებ ინფორმაცია წარადგინეს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მნიშვნელოვანია ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე პროცესები, განსაკუთრებით როდესაც საქმე ადგილზე არსებული უსაფრთხოების გარემოს გაუარესებას ეხება. სუს-ის მხრიდან ცალსახად გაესვა ხაზი ოკუპაციის პირობებში, ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე ე.წ პოლიტიკური პროცესების არალეგიტიმურობას.

შეხვედრის ფარგლებში, ასევე განიხილეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებული უსაფრთხოების ვითარება, სადაც აქცენტი უსაფრთხოების სტაბილური გარემოს მნიშვნელობაზე გაკეთდა.

გედევან ფოფხაძე: „არც „ოცნება“, არც ნაციონალები!“

„უნდა გაკეთდეს დიდი გაერთიანება ამ 2 ძალის გარეშე“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **გედევან ფოფხაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, გენერალური პროკურორის ვაკანტურ თანამდებობაზე ირაკლი შოთაძეც წარადგინეს. ოპოზიცია ამბობს, რომ ფარცხალაძის რეანიმირება ხდება. ნიშნავს თუ არა ეს წარდგენა იმას, რომ გენერალური პროკურორი კვლავ შოთაძე იქნება?

– ირაკლი შოთაძე სხვა მოცემულობაში და სხვა პირობებში შეიძლება კარგი პროკურორი ყოფილიყო, მაგრამ დღეს ცუდი მოცემულობაა შექმნილი. პოლიტიკური შეკვეთა პროკურორის, მოსამართლის, მინისტრის მიმართ არის არა ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ყოფნა, არამედ იმ პოლიტიკური კონიუნქტურისთვის ბრძოლა, რაც დღეს დაამკვიდრეს.

დღეს მთავარი ამოცანა არის არა ქვეყნის განვითარება და ხალხის გაჭირვებიდან გამოყვანა, არამედ ძალაუფლების შენარჩუნება. ამ მოცემულობაში, ირაკლის მოუწევს, თუ გახდა მთავარი პროკურორი და ალბათ გახდება კიდეც, გაფართოებული თვალებით მიყუროს მე, რომ რამე დანაშაული დაინახოს, რათა დამიჭიროს, მაგრამ თვალები დახუჭოს ჩხარტიშვილზე, ფარცხალაძეზე, ამათ ნომენკლატურაზე.

პრინციპი ხომ არ შეცვლილა. სააკაშვილმა რა სივრცეც შექმნა, ის ამათ კარგად გადმოიტანეს. ამ მოცემულობაში ინსტიტუციები აღარ არის საჭირო და, შესაბამისად, არც მუშაობენ. ქვეყანაში არის უსამართლო გარემო, რომელიც ხალხმა უკვე გამოიარა და რომელზეც უარი თქვა, მაგრამ ეს გარემო კვლავ გრძელდება.

– რატომ კვლავ შოთაძე, მხოლოდ ამ მცირე ჯგუფს ენდობა ივანიშვილი? რატომ არა ახალი კადრი?

– რატომ მეორე წრეზე წასვლა? ეს ხალხი ამ ამოცანას უფრო კარგად ემსახურება. უკვე გამოცდილი ხალხია. ახალი ჯანდაცვის მინისტრი იმიტომ კი არ მოიყვანეს, რომ სისტემას სჭირდებოდა, მოიყვანეს იმიტომ, რომ ივანიშვილს სჭირდებოდა, მისი ოჯახის ახლობელია. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს არ ჰყავს მთავრობა, მთავრობა ჰყავს ივანიშვილს.

პარლამენტში თანამდებობები ივანიშვილისადმი ლოიალობით ნაწილდება. ინსტიტუციონალურად სახელმწიფო სისტემების ატროფირება ხდება. პარლამენტიც, მოსამართლეც, პროკურორიც, მინისტრიც ძალაუფლების წყაროდ აღიქვამს არა ხალხს, როგორც ეს არის დემოკრატიულ სახელმწიფოში, არამედ ბიძინა ივანიშვილს. ხალხს ეს უფლება წართმეული აქვს. ხელისუფლების წყარო ხალხი კი არ არის, ბიძინა ივანიშვილია.

ესეც, მეორე წრეზე წასვლა, არის ბოლო გზავნილი საზოგადოების მიმართ: არ დამტოვო ხელისუფლებაში! მანიაკებს, სერიულ მკვლელებს აქვთ თვისება, ბევრს რომ მოკლავენ, მერე იღლებიან ცხოვრებისგან და დაჭერა უნდათ. ეს არის ხელისუფლება, რომელიც უნდა გავუშვათ, არ შეიძლება მათი ხელისუფლებაში დატოვება.

– ენდიაის კვლევებს როგორ აფასებთ?

– საქართველო არ არის იმ მდგომარეობაში, რომ გამოკითხული რესპონდენტები ბოლომდე გულწრფელები იყვნენ. მიუხედავად ამისა, ენდიაიმ ძალიან ცუდი შედეგები დადო.

– ცუდი რა მხრივ?

– გამოკითხულთა 50%-ზე მეტი ამბობს, რომ ქვეყანაში დემოკრატია არ არის. ეს კრიტიკული ზღვარია. ადამიანებს ინსტიტუციების იმედი არ აქვთ. ეს გამოკითხვები საზოგადოების დეპრესიულ დამოკიდებულებას გამოხატავს. ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით პრობლემებზე საუბრობენ ადამიანები. ეს თავისთავად იმ პოლიტიკას, რომელიც ხორციელდება ქვეყანაში, ლეგიტიმაციას უკარგავს.

– გამოკითხულთა უმრავლესობა პირველ ადგილზე მმართველ პარტიას აყენებს, მეორე ადგილზე – ნაციონალური მოძრაობას. ამას რით ხსნით?

– ეს არის არსებული პოლიტიკური მოცემულობა. ტენდენცია ამ პარტიებთან მიმართებით მზარდი კი არ არის, პირიქით, კლებადია. ორივე პარტიას აკლდება. უფრო მზარდია პუნქტი – არც ერთი პარტია.

აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ ამომრჩევლის საერთო განწყობა უკვე ჩამოყალიბებულია. განწყობა ასეთია: ამომრჩევლის უმრავლესობას არსებული რეალობა არ მოსწონს. მას პოზიტიური, ჯანსაღი სიახლე უნდა. საზოგადოება მოლოდინის რეჟიმშია. ეს მოლოდინი რაში გადაიზრდება, უკვე პოლიტიკოსებზეა დამოკიდებული.

მე მაინც ვფიქრობ, რომ უნდა მოხდეს დიდი პოლიტიკური გაერთიანება.

– „ოცნების“ გარეშე?

– რა თქმა უნდა, „ოცნების“ გარეშე! და ნაციონალების გარეშე. ამომრჩეველს არ მოსწონს არსებული რეალობა და არც წარსულის დაბრუნება უნდა.

– თქვენ ამბობთ, რომ ქვეყანა გაჩერებულია, დინებას მიჰყვება და სად გადაიჩეხება, ღმერთმა უწყის. ასე ნიჰილისტურად არის განწყობილი საზოგადოება?

– მეტიც, ენდიაის კვლევები ციფრებია, ჩვენ ხომ ყოველდღიურად ქუჩაში დავდივართ, ხომ ხედავთ, ადამიანები როგორ იქექებიან სანაგვე ურნებში ლუკმა-პურის საძებნელად.

არა მგონია, ეს ჯანმრთელი ვითარება იყოს ქვეყნისთვის. ამ სიცივეში მოხუცები ქუჩაში ხელგაწვდილები რომ სხედან, ეს არ არის ნორმალური. რა საჭიროა სოციოლოგიური კვლევები, როდესაც ლარი ასეა გაუფასურებული, როდესაც ადამიანებს სამუშაო ადგილები არ აქვთ, როდესაც მედიკამენტები ასე გაძვირებულია.

ადამიანები გაღარიბდნენ, ქვეყანაში საშუალო ფენა არ არსებობს. სააკაშვილმა საშუალო ფენას ომი გამოუცხადა, ამ ხელისუფლებამ ეს მოცემულობა გააფორმა, რადგან ბევრად უფრო მარტივია გაჭირვებული და დამშეული ხალხის კონტროლი.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

„პირველი, ვისაც ბრალი უნდა წაეყენოს, არჩილ კბილაშვილია“

შალვა ხაჭაპურიძე: „ჩვენ არაფერი გვეშველება. მოკლედ ვიტყვი, მონღოლეთში ვცხოვრობთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი **შალვა ხაჭაპურიძე** პასუხობს.

– ბატონო შალვა, ჩვენს ქვეყანაში რომ ადამიანის უფლებები ირღვევა, ამაზე არაერთხელ გვისაუბრია. ჩვენ გარდა, ამ პრობლემებზე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციაც საუბრობს. ამბობენ, რომ პენიტენციარულ სისტემაში, წინასწარი დაკავების იზოლატორებში უკიდურესად დამძიმებულია ვითარება ამ კუთხით. როგორც უფლებადამცველი, რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– გუშინ კიდევ ერთი ორგანიზაციის დასკვნა დაიდო ამ საკითხთან დაკავშირებით. მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ მძიმე დასკვნაა. ბოლო წლების განმავლობაში მსგავსი კრიტიული სახის დასკვნა არ მახსენდება. მართლაც ძალიან ბევრი შემთხვევაა, როდესაც უკანონო დაკავებები ხდება, როდესაც ამ დაკავების დროს ცემის ფაქტებს აქვს ადგილი. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით იმატა. მე კონკრეტულად ვიცი თბილისში მომხდარი ფაქტები, ასევე ვიცი თელავის პოლიციაში მსგავსი შემთხვევები. სამწუხაროდ, ხშირია პოლიციის მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენება. არა მარტო ძალის გადამეტება, უფრო უარესიც ხდება და ეს არის დანაშაული. სამწუხაროდ, ამ საქმეების გამოძიების ილუზიაც კი არა გვაქვს. ამის მინიმალური შანსიც კი არ არსებობს. არის იშვიათი შემთხვევები, როდესაც აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე და არავინ არაფერს იძიებს. ამას პირდაპირ აჟღერებენ ჩვენთან საუბრებში, რომ არც კი უნდა ვიოცნებოთ ამ ტიპის საქმეების გამოძიებაზე.

– სასამართლოში რა ხდება?

– რაც შეეხება სასამართლოს, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, იქ რა მდგომარეობაც არის. ამას რა შეცვლის და რა გამოასწორებს, არ ვიცი. მე ვფიქრობ, რომ მთლიანად შესაცვლელია მთელი სასამართლო სისტემა. აბსოლუტურად მთლიანად სისტემა უნდა შეიცვალოს. აქ აღარ

არის საუბარი ერთ ან ორ მოსამართლეზე. საბედნიეროდ, არიან კეთილსინდისიერი მოსამართლეებიც, მაგრამ ისინი იმდენად ცოტანი არიან, რომ კლიმატს ვერ ქმნიან. ზოგადად მთელი სასამართლო სისტემა მოექცა იმ ავადსახსენებელი კლანის მმართველობის ქვეშ და მოსამართლეებს, რომლებიც გაბედავენ და გამოაქვთ გამამართლებელი განაჩენები ან ის, რაც კლანს არ მოსწონს, ან ვადებს არ უგრძელებენ, ან საქმის განხილვებიდან ჩამოაშორებენ.

– ანუ ყველაფერზე კონტროლი მიდის?

– აბსოლუტურად სრული კონტროლია! მთელი სასამართლო ხელისუფლება, დაწყებული შს სამინისტროდან, პროკურატურა, კონტროლდება ერთი კლანის მიერ.

– მურუსიძე-ჩინჩალაძეს გულისხმობთ ამ კლანში?

– არა, მურუსიძე-ჩინჩალაძე კიდევ სხვა კლანის წევრები არიან. მე ვსაუბრობ კლანზე, რომელიც მთლიანად აკონტროლებს პროკურატურას, სასამართლოს, პოლიციას და ამასთან დაკავშირებულ სხვადასხვა უწყებას. თუ საიდან მომდინარეობს ეს კლანი და ვის ემორჩილება, მგონი, ეს რიტორიკული კითხვა იქნება. ისედაც ყველაფერი ნათელია, თუ საიდან მოდის ეს ყველაფერი. დღეს ჩვენი ქვეყანა ძალიან კომიკურ სიტუაციაშია ჩავარდნილი.

– რას გულისხმობთ?

– ყოფილი მოძალადეები და ის ხალხი წინა ხელისუფლებიდან, საშინელებები რომ აქვთ ჩადენილი, მათი საქმეები რომ არ იქნა გამოძიებული და ახლაც არავინ იძიებს, დღეს გველაპარაკება მაღალი ტონით და უკვე აქეთ ედავება ამ ხელისუფლებას ამა თუ იმ უკანონობის ჩადენაზე. ხედავთ თქვენ, რომ შავი სიის შედგენაც კი დაიწყეს. სხვათა შორის, შავ სიაში მოხვდნენ ის პროკურორები, რომლებსაც ნაციონალების დროს აქვთ პროკურატურაში მუშაობა დაწყებული. ისეთი მდგომარეობაა, რომ სისტემის შეცვლაც კი არაფერს უშველის ამ სიტუაციას. ისეთ უბედურებაში ვართ გადასული, რომ სისტემური რეფორმებიც კი არაფრის მომტანია. აქ მთლიანად პოლიტიკური ხედვებია შესაცვლელი და მით უმეტეს იმ გამოწვევის ფონზე, რაც ჩვენ გარშემო ხდება. ვხედავთ, რომ აფხაზეთის ოპოზიცია საქართველოსთან დიალოგისთვის მზად არის და ამ დიალოგის დაწყებას ითხოვს.

– ჩვენი ხელისუფლება ამ კუთხითაც რომ არაფერს აკეთებს?

– რა თქმა უნდა, არაფერი შეუძლია, საერთოდ ვერაფერს აკეთებს. აფხაზებთან კი არა, აგერ ოპოზიციასთან ვერ ვმართავთ დიალოგს და აფხაზებს რა უნდა ელაპარაკონ ან სად უნდა ელაპარაკონ. საერთოდ მორღვეულია ყველაფერი, გუშინ ერთმა რიგითმა მოქალაქემ განაიარაღა დავითგარეჯის მესაზღვრეები. მთლიანად მორღვეულია ყველაფერი, კლანური მმართველობაა და ეს კლანი წასვლას კი არ აპირებს, პირიქით, ცდილობს რომ შემდეგი არჩევნებიც მოიგოს.

– სწორედ ამ დროს ხომ არ ხდება უფრო საშიში ხელისუფლება, როდესაც ხედავს, რომ სრულიად გაკოტრებულია, არანაირი მხარდაჭერა არ აქვს და მაინც უნდა, რომ დარჩეს ხელისუფლებაში. რას უნდა ველოდეთ ასეთი ხელისუფლებისგან?

– ისინი არც მალავენ, რომ ხელისუფლებაში დარჩენა უნდათ და აქ მხოლოდ 2020-ზე არ არის ლაპარაკი, ამბობენ, რომ უნდა დარჩნენ უკუნითი უკუნისამდე! თუმცა 21-ე საუკუნეა, კარგად გაიხედონ, ხალხი ბნელი არ არის და კარგად ხედავს, რა მდგომარეობაა. ხალხი იმასაც ხედავს, თუ ვინ არიან მათი ოპონენტები და საზოგადოება არის ახლის ძიებაში. ხალხი ეძებს რაღაც ახალ ძალას, რომელიც გამოვა და კონსტიტუციურ წესრიგს დაამყარებს ქვეყანაში! ძველიც, ახალიც – ყველა ერთად დასასჯელია. კანონის წინაშე უნდა წარდგნენ და კანონის ძალით უნდა აგონ პასუხი, ოღონდ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს პოლიტიკური ანგარიშსწორება. ვინც ხელი დააფარა ძველებს, ისინიც უმკაცრესად უნდა დაისაჯონ. პირველი, ვისაც ბრალი უნდა წაეყენოს, არის არჩილ კბილაშვილი.

– რატომ, მან დააფარა ხელი წინა რეჟიმის დამნაშავეებს?

– სწორედ ის არის დანაშაულებრივი რეჟიმის პირველი ხელის დამფარებელი! სწორედ მან დაიწყო პირველმა. ის უნდა გავუშვათ პირველი გლდანის ციხეში. თავიდანვე ვამბობდი, ბოკერიას არ დაიჭერენ-მეთქი და ასეც მოხდა. ყველას უნდა მოეთხოვოს პასუხი. სამართალი, მართალია, ურმით მოდის, მაგრამ აუცილებლად მოვა ამ ქვეყანაშიც.

– ხელისუფლებასაც აწყობს ეს სიტუაცია. ამ ფონზე რამდენად არის იმის შანსი, რომ გამოჩნდეს ახალი ძალა?

– რთულია, მაგრამ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. კარგად ვხედავთ, რომ როგორც პოზიციის, ისე ოპოზიციის მხრიდან ქვეყნის ინტერესები უკანა პლანზეა გადაწეული და მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იბრძვის ყველა. ყველაფერს პიარით ნიღბავენ და მერე ამ პიარშიც მილიონებს იხდიან ბიუჯეტიდან, ანუ ჩვენს ფულს. რატომ იხდიან, რისთვის, რა კეთდება?! ამიტომ ვაცხადებ, რომ არაფერი გვეშველება, მოკლედ ვიტყვი, მონღოლეთში ვცხოვრობთ. ვერ გამოვიდა ჩვენი ქვეყანა მონღოლთა ურდოს აზროვნებიდან.

„ივანიშვილი კალაძეზე იერიშს მიიტანს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

პრემიერი. ის არის დედაქალაქის მერი და ბევრად მეტი რეიტინგი უნდა ჰქონდეს, იმიტომ რომ, თუ ვინმეს რამის კეთება შეუძლია ქალაქში, ეს არის კალაძე. მაგრამ გეტყვით იმასაც, რომ 34% დედაქალაქის მერისთვის კატასტროფულად ცუდია. გადახედეთ ყოფილი მერების რეიტინგებს. გაიხსენეთ წინა ხელისუფლების დროს უგულავას მოწონება კი არა, მართლა რეიტინგი რამხელა ჰქონდა.

– ამის მიუხედავად, როგორ შეხვდება ბიძინა ივანიშვილი ამას, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც საუბარია კალაძის ოპოზიციაში შესაძლო გადასვლაზე?

– კონკრეტულ ფაქტებს გეტყვით, გახსოვთ, ხომ, გახარიას რეიტინგი?! დღეს არის თუ არა გახარია პოლიტიკური ბანკროტი?! კვლევებით ასე იყო, რომ გახარია იყო ყველაზე მაგარი, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა სრულ პოლიტიკურ ბანკროტად, თავის ხელის ბიჭად აქცია და გააკეთებინა ყველაფერი, რაც მის მონურ მორჩილებაში იყო და ყველაფერი შეასრულა.

– კალაძესაც იმავეს გააკეთებინებს?

– რა თქმა უნდა. თუნდაც სერგეენკო გაიხსენეთ, რომელსაც ასევე მაღალი რეიტინგი ჰქონდა მოწონების მაჩვენებელში. დღეს კი ის პოლიტიკურ მოუსავლეთშია. ასე დაამთავრებს კალაძეც, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი ავადმყოფურად ეჭვიანია.

ვიმეორებ, არა მგონია, რომ კალაძის „მოწონება“ რამეს ნიშნავდეს. ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, რომ კალაძე ცუდად დაამთავრებს. ივანიშვილი ამასაც ვერ აიტანს, მით უმეტეს, რომ „ქართულ ოცნებაში“ ის არის ყველაზე მოწონებადი ფიგურა, ასევე, ყველაზე მეტი ფული აქვს ივანიშვილის შემდეგ.

კალაძეს „ქართულ ოცნებაში“ გავლენებიც ყველაზე მეტი აქვს. მათ შორის თუ ვინმე რამეს იპარავს ამ ქვეყანაში, კალაძე ნამდვილად მეორეა მომპარავებში, ბიძინა ივანიშვილის შემდეგ.

– ამბობენ, რომ მის წინააღმდეგ საქმეების აღძვრა დაიწყეს. ესეც ამით არის განპირობებული და ელოდებით, რომ ამ მიმართულებით შორს წავა ივანიშვილი კალაძის წინააღმდეგ?

– შიდადაპირისპირება რომ არის, ფაქტია. კალაძესა და მის მოადგილე წულაიას 16 მილიონი აქვთ მითვისებული. ეს დოკუმენტებზე წერია და საქმეც არის აღძრული.

ეს სამართლიანობისთვის კი არ კეთდება. ეს რომ ასე იყოს, დიდი ხნის წინ აღძრავდნენ მის წინააღმდეგ საქმეს და დაიჭერდნენ. გინდა ამ საქმეზე, გინდა ოდიშარიას რომ 200.000-ლარიან ქონებაში 5 მილიონი მისცა, გინდა ნაძვის ხე რომ მილიონად შემოგვატენა და კიდევ უამრავი საქმეა. მათ შორის მისი ენერგეტიკის მინისტრობის დროს აუდიტის სამსახურმა დადო დასკვნა, რომ 12 მილიონი გაიფლანგა ენერგოსისტემებზე.

მაგრამ ახლა მთავარი ის არის, რომ ორი ყაჩაღი დაეტაკა ერთმანეთს და ჩემი, თქვენი და მოსახლეობის დოვლათი ვერ გაიყვეს. ამაზეა საუბარი, რომ ვერ გაიყვეს ჩვენი ქონება, ყაჩაღებმა ვერ გაინაწილეს ქონება.

ეჭვი მაქვს, რომ ივანიშვილი ამ მიმართულებითაც მიიტანს მასზე იერიშს. „ქართულ ოცნებაში“ ჩამოშლა რომ დაწყებულია, ეს ხომ ფაქტია?! ძიძიგური რომ პარტიას დატოვებს, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ პარტიაში უმძიმესი მდგომარეობაა.

მის გარდა, კიდევ უამრავმა ადამიანმა დატოვა პარტია, მოგწონს თუ არა, მეორე საკითხია, მაგრამ, გონიერებასთან რომ ახლოს იყვნენ, ისეთმა ხალხმა დატოვა პარტია, რომლებმაც მართლა რომ კომპიუტერი და ინგლისური იცოდნენ.

„ქართულ ოცნებაში“ კოლექტიური კალაძეები, ოდიშარიები და წულაიები დარჩნენ. ორმა ყაჩაღმა ფული ვერ გაინაწილა და ეჭვი მაქვს, რომ, კი ბატონო, ბიძინა ივანიშვილი კალაძეზე მიიტანს იერიშს.

„გამყიდველი პოლიტიკოსები რომ ყვიროდნენ, დავითგარეჯი საქართველოაო, ახლა გაყურსულები რატომ არიან?“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „აზერბაიჯანთან ენის მოჩლექით საუბარი კარგის მომტანი არ არის“

გულიკო ბალაძე

რატომ მწვავდება საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები? უნდა გამოცხადდეს თუ არა აზერბაიჯანი ოკუპანტად? – ამ საკითხზე „ახალ თაობასთან“ უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე **ნიკოლოზ მჟავანაძე** საუბრობს.

– ბატონო ნიკოლოზ, როგორც ჩანს, აზერბაიჯანთან ურთიერთობები არ ვითარდება ისე, როგორც ორ მეგობარ, სტრატეგიულ პარტნიორ სახელმწიფოებს შეეფერება. ბოლო დროს არაერთი ინციდენტი მოხდა. თქვენი შეფასებით, რა იწვევს ორ სახელმწიფოს შორის დაძაბულობას?

– ძალიან მძიმე ვითარებაა. რასაც აზერბაიჯანი საქართველოს წინააღმდეგ ახორციელებს, ოკუპაციაა. ამას, რეალურად, ჩვენი ხელისუფლება წინ ვერ აღუდგა. ხორციელდება საქართველოს ტერიტორიების მცოცავი ოკუპაცია ყველა მიმართულებით, რაც ძალიან სამწუხარო ფაქტია.

– როგორ შეიძლება, ამას წინ აღვუდგეთ?

– ამ ყველაფერს ჩვენი ძალებით წინ თუ ვერ აღვუდგებით, საჭიროა, საერთაშორისო პარტნიორები ჩავრთოთ.

– ვითარების დარეგულირებას ხელს რა უშლის?

– ვითარების დარეგულირებას ხელს ის უშლის, რომ აზერბაიჯანი პირდაპირ ვითარების გამწვავებაზე მოდის, არაფერს ითვალისწინებს, არც ხელისუფლების პოზიციასა და არც ხალხის განწყობას. ყველაფერში თავს ლაფი დაგვასხეს. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანთან ენის მოჩლექით საუბარი კარგის მომტანი არ არის.

თუ ცოტა მკაცრად არ მივუდგებით, შეიძლება, ქვემო ქართლი და კახეთიც წაიღონ. ისე გათავხედდნენ, რომ აზერბაიჯანის საელჩოს ატაშემ გუშინწინ ღამით ქართველი მომღერლებიც ცემა რესტორანში. რესტორანში მომღერლებთან მივიდა და დაზიანებები მიაყენა.

– საინტერესოა, სიმღერა იყო მიზეზი?

– ჰო, რაღაც არ მოეწონა. სომხების დაწერილი სიმღერაა. აზერბაიჯანის საელჩოს პრესატაშე უგარ მამედოვმა ასეთი რაღაც იკადრა. ასეთი რამ არსად ხდება. საელჩოს წარმომადგენელი იმუნიტეტით სარგებლობს, მაგრამ გვახსოვს, ჩვენმა ელჩმა ავარია რომ მოახდინა, დააპატიმრეს და გაასამართლეს კიდეც.

– მგონი, ამერიკაში.

– აზერბაიჯანის საელჩოს თანამშრომელმა უგარ მამედოვმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, მივიდა და ქართველ მომღერლებს დაზიანებები მიაყენა.

– პოლიცია არ ჩარეულა?

– პოლიცია მივიდა, მაგრამ თითქოს არაფერი მომხდარა, დანაშაულის ჩამდენს პასუხი არ მოსთხოვა. ასეთი რამ შეიძლება? უკვე თავს ლაფი დაგვასხეს.

– ანუ მათი მხრიდან ოფიციალურ დონეზე კრიმინალური ინციდენტებიც კი ხდება, ვითარება ისე დაიძაბა?

– დიახ, ქვეყანას პატრონი არ ჰყავს, რომ ამ ყველაფერს წინ აღუდგეს, რაც ნამდვილად საშიში ტენდენციაა.

უკვე საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის გარეჯის მონაკვეთზეც ხდება ინციდენტები. აზერბაიჯანთან რამდენიმე მოლაპარაკება შედგა, თითქოს საქართველოში ორმხრივი კომისიის სხდომა უნდა ჩატარებულიყო, საზღვარი უნდა დადგენილიყო, მაგრამ ჯერჯერობით ამ საკითხის პრობლემის გადაწყვეტაში წინსვლა არ არის. თქვენ ამბობთ, აზერბაიჯანი ოკუპანტად გამოვაცხადოთო.

შენი ქვეყნის ტერიტორიებს რომ წაიღებს, ოკუპანტია, აბა, რა არის? თქვენ კი ამბობთ, მეგობარი ქვეყანააო. მეგობარი როგორ არის?

– აზერბაიჯანის ოკუპანტად გამოცხადება რას გამოიწვევს?

– ოკუპანტად თუ არ გამოვაცხადებთ, მაშინ ავდგეთ და მივცეთ ტერიტორიები. მტერს მტერი უნდა დაარქვა და მოყვარეს – მოყვარე. ვერ გავიგე, რას ნიშნავს კითხვის ასე დასმა, ოკუპანტად გამოცხადება რას გამოიწვევს. ასე კითხვის დასმაც არასწორია.

– აქამდე მეგობარი იყო.

– მეგობარი იყო, მაგრამ აღარ არის. ოკუპანტად გამოცხადება იმას გამოიწვევს, რომ ყველა გაიგებს, აზერბაიჯანმა ტერიტორია რომ წაგვართვა. მეზობელმა ქვეყანამ ტერიტორია წაგართვა და ამბობ, ჩვენი მეგობარიაო. ვინ უნდა დაგიჭიროს მხარი ამ საკითხში.

მხოლოდ მაშინ გვაქვს რეაქცია, თუ ტერიტორიებს რუსეთი წაიღებს. რუსეთიც ოკუპანტია, მაგრამ, ოღონდ ტერიტორიები რუსეთმა არ წაიღოს და თურქეთმა, სომხეთმა, აზერბაიჯანმა რაც უნდა მოიმოქმედონ, ხმას არ ამოვიღებთ. რუსეთის ოკუპაციას აპროტესტებენ იმიტომ, რომ დასავლური ორგანიზაციები ფულს უხდიან, თორემ რუსეთის ოკუპაციაზეც არ ამოიღებდნენ ხმას.

ამიტომ აზერბაიჯანი უნდა აღვიქვათ, როგორც მტრულად განწყობილი ქვეყანა, რომელსაც საქართველო ფეხებზე ჰკიდია. ის ბიჭიც რომ დაიჭირეს – თუში მეცხვარე, მის მოქმედებას გამართლება არ აქვს, მაგრამ მასაც ყელში ამოუვიდა, ტერიტორიის წართმევის შემხედვარე, ნებისმიერ ადამიანს სისხლი უდუღს, ცდილობს, მივიდეს და თვითონ დაიცვას საქართველოს ტერიტორია. უკვე თვითონ ხალხი ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას.

– გარეჯთან დაკავშირებით პროტესტი მართლაც ჩამცხრალია. ხელისუფლება დიპლომატიური გზებით პრობლემის მოგვარებას ცდილობს. ალბათ, არ უნდა, სიტუაცია კრიზისში გადაიყვანოს, მაგრამ ხალხი და ოპოზიცია მაინც რატომ არის გაჩუმებული?

– იმიტომ რომ, როგორც ჩანს, აზერბაიჯანელებისაგან ფული აქვთ აღებული. აბა, რეაქცია რატომ არ აქვთ.

– ამდენი ხალხი ფულს როგორ აიღებდა?

– როგორ აიღებდა და გამყიდველი პოლიტიკური ფიგურები და პოლიტელიტა გვყავს, პოლიტიკური „პრასტიტუკები“ არიან. აბა, აქამდე რომ ყვიროდნენ, დავითგარეჯი საქართველოაო, ახლა ტერიტორია რომ წაიღეს, გაყურსულები რატომ არიან?

გიგა ბუკია: „მინისტრების ხშირი ცვლით ხალხს სტაბილურობის განცდა ეკარგება“

„ნარკოტიკების თაობაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა „ქართული ოცნება“ დააზიანა“

მარიამ მჭედლიშვილი

ენდიაის კვლევების თანახმად, საქართველოს საზოგადოებაში შემცირდა ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. ამ და სხვა პრობლემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, დეპუტატ გიგა ბუკიას.

– ენდიაის მიერ ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოში შემცირდა ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის, პარლამენტისა და მთავრობის მიმართ. როგორც ვიცი, ასეთი გამოკითხვებით დადგენილ პოლიტიკური პარტიების რეიტინგებს ნაკლებად ენდობით. ხელისუფლების მიმართ უნდობლობის ზრდა ისედაც თვალსაჩინოა. ამას როგორ აფასებთ?

– სოციოლოგიური კვლევები და მათი შედეგების შესწავლა-გაანალიზება პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის საჭიროა. თუ გამომითქვამს ეჭვი კონკრეტული პარტიების გამოქვეყნებულ რეიტინგებზე, ამას თავისი მიზეზი აქვს – ხშირად ყოფილა, რომ ასეთი კვლევების დროს გამოქვეყნებული ციფრები არ დამთხვევია არჩევნებზე დადებულ შედეგებს. ზოგადად, სოციოლოგიური კვლევების საწინააღმდეგო მე და ჩვენს პარტიას არაფერი გვაქვს. ამ კვლევების შედეგები ყველამ უნდა გავითვალისწინოთ.

– თქვენი აზრით, რისი ბრალია სახელმწიფო ინსტიტუტების ავტორიტეტის დაცემა?

– პარლამენტზე ვისაუბრებ. ჩვენ 2012 წლიდან 2019 წლის ბოლომდე ვიყავით „ქართული ოცნების“ უმრავლესობაში. შემიძლია, გადაუჭარბებლად ვთქვა, რომ 2012 წლიდან პარლამენტის მიერ მიღებული კანონები ემსახურებოდა ქვეყნის განვითარებას. ამ კანონმდებლობის 99% ხელს უწყობდა დემოკრატიასა და ადამიანის უფლებების დაცვას. ამ პერიოდში ბევრი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

– ამას საზოგადოება და საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ ამჩნევენ?

– ავხსნი, რის თქმა მინდა. საზოგადოების დიდი ნაწილი რომ ცუდად აფასებს პარლამენტის მუშაობას, ამას აქვს ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ადამიანები ვერ ადევნებენ თვალს პარლამენტისა და კომიტეტების ყველა სხდომას. ისინი მუდმივად ისმენენ ოპოზიციის რადიკალურ განცხადებებს. ოპოზიცია ყველაფერს თავს ესხმის და არც ისე იშვიათად ავრცელებს დეზინფორმაციას. მოსახლეობამ არ იცის, რა გადაწყვეტილებები მიიღო პარლამენტმა. სამაგიეროდ, ინფორმირებულია, რა გამოხდომა ჰქონდა ნაცმოძრაობის ან ევროპული საქართველოს რომელიმე წევრს. ოპოზიცია იმასაც კი კადრულობს, რომ ქიმიური სითხე დაასხას სხდომათა დარბაზში. ადამიანებში ილექება ცუდი, ნეგატიური ინფორმაცია. ხელისუფლების, პარლამენტის უმრავლესობის სისუსტეა, რომ ხალხამდე არ მიაქვს ის, რაც კეთდება.

– ხელისუფლებაში ყოფნის მერვე წელსაც დგას ეს პრობლემა?

– დგას. როცა უმრავლესობაში ვიყავით, ეს საკითხი შიგნით ბევრჯერ დაგვიყენებია. ოპოზიცია არც შეურაცხყოფას თაკილობს და ყველაფერს სათავისოდ იყენებს. პოლიტიკოსებს თავიანთი დღის წესრიგი აქვთ. ადამიანს, რომელიც ალაგ-ალაგ ადევნებს თვალს პარლამენტის საქმიანობას, უმცირდება პატივისცემა საკანონმდებლო ორგანოს მიმართ. იგი არაინფორმირებულია. შედეგად, ვიღებთ უნდობლობას პარლამენტისადმი.

– უზენაეს სასამართლოში სახელგატეხილი მოსამართლეები რომ უვადოდ გაამწესა პარლამენტმა და ასევე ჩააგდო კანონი პროპორციული არჩევნების თაობაზე, ესეც ხომ ნახა ხალხმა?

– რა თქმა უნდა. პროპორციული არჩევნების 2020 წელს ჩატარება ხელისუფლების დაპირება იყო. მისი ჩაგდების შემდეგ ჩვენ უმრავლესობიდან გამოვედით. ამის შემდეგ დამტკიცდა მოსამართლეებიც. ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა, 7 თუ 8 კანდიდატურისათვის მიგვეცა ხმა. მოსამართლეების დანარჩენ კანდიდატურებს მხარს არ დავუჭერდით. უმრავლესობამ დაახლოებით 12-ს დაუჭირა მხარი. კანდიდატურების განხილვის პროცესი საჯარო და გამჭვირვალე იყო.

– რასაც მიუღებელი გადაწყვეტილება

მოჰყვა.

– განხილვის პროცესს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავლისთვისაც. მომავალში პარლამენტი მოსამართლეების კანდიდატების მიმართ უფრო მკაცრი იქნება, კანდიდატებიც უფრო მომთხოვნი გახდებიან საკუთარი თავის მიმართ.

– მთავრობის მიმართ საზოგადოების ნდობის დაცემას როგორ ხსნით?

– აქაც მსგავსი მიზეზია. ქვეყანაში პრობლემებიც საკმარისია, თუმცა რაღაც კეთდება. რაც კეთდება, იმაზე ხალხს ინფორმაცია არა აქვს. კომუნიკაციას მთავრობაც ვერ ახერხებს. არა მგონია, რომ სიტუაცია კატასტროფული იყოს და ხელისუფლებას მასობრივად უცხადებდნენ უნდობლობას.

– ჯერჯერობით, სხვადასხვა კვლევით, „ქართული ოცნება“ რეიტინგებში ლიდერობს. საზოგადოება რომ მასობრივად უცხადებდეს უნდობლობას, მმართველ პარტიას დაახლოებით 20% არ ექნებოდა.

– ხელისუფლებას ჰყავს მხარდამჭერებიც და აქვს სხვა რესურსი – შესაბამის სამსახურებში დასაქმებული ხალხი. რომ არა შეცდომები, ხელისუფლებას უფრო მაღალი რეიტინგი ექნებოდა.

– ერთ შეცდომად, ალბათ, პროპორციული არჩევნების კანონის ჩავარდნა მიგაჩნიათ. კიდევ რა შეცდომები იყო?

– ნარკოტიკების მიმართ ხელისუფლების შტოების არასწორმა დამოკიდებულებამ ქვეყანას დიდი ზიანი მოუტანა. ამან თვითონ ხელისუფლება დააზარალა. ზოგიერთი ნანობს და ამბობს, რომ მცდარი შეხედულებები ჰქონდა.

– კერძოდ?

– ერთი-ორი წლის წინ ხელისუფლებაში ნარკოტიკების ბუმი დაიწყო. ბევრი ამბობდა, რომ მარიხუანას მავნებლობა არ მოაქვს. გახსოვთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები. ჩვენ ამ საკითხს ვსწავლობთ. მაქვს მონაცემები იმაზე, რომ მას შემდეგ, რაც მარიხუანა უფრო ხელმისაწვდომი გახდა, გაიზარდა ფსიქიკური დაავადებების რაოდენობა. სამწუხაროდ, სტატისტიკა სრულყოფილი არ არის, ყოველ შემთხვევაში, რეგიონებში. სამედიცინო პერსონალი ყველა შემთხვევას არ აღრიცხავს. არადა, დადგინდა პირდაპირი კავშირი ახალგაზრდებში მარიხუანის მოხმარებასა და ფსიქიკურ აშლილობას შორის. ახალგაზრდებს ფსიქიკა შეერყათ. არის თვითმკვლელობის ფაქტები. არ დავასახელებ მათ გვარებს, ვინც ახლა ინანიებს მარიხუანისადმი მცდარ დამოკიდებულებას.

– საქართველოში ბოლო წლებში ყველაზე ხშირად პრემიერებსა და განათლების მინისტრებს ცვლიან. ეს არ მოქმედებს ხალხზე უარყოფითად? ნორმალურ ქვეყნებში ხელისუფლებების ხშირი ცვლა თუ არის, ეს ვადამდელი არჩევნებით ხდება. ჩვენთან ერთი პრემიერი დამტკიცდება თუ არა, ხსნიან. ახლა გახარიას გადაყენება იგეგმება.

– მომავალ საკადრო ცვლილებებზე ინფორმაცია არა მაქვს. ისე, მინისტრების ხშირი ცვლა ხალხს სტაბილურობის განცდას არ უჩენს: ერთი მინისტრი დაიწყებს რაღაც პროექტის განხორციელებას, შემდეგ მას სხვა ცვლის და დაწყებული პროექტი ჩერდება. ჯერ ინსტიტუტები ისე აწყობილი არ გვაქვს, რომ სამინისტროში ერთის დაწყებული საქმე მეორემ გააგრძელოს. ქვეყნის განვითარებისთვის ამ მიმართულებით სტაბილურობა უკეთესი იქნებოდა.

„მან მოინდომა, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები იარაღის ძალით გაეძევებინა“

გიორგი იჩუკაიძეს პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ქართველი მესაზღვრის მძევლად აყვანაში ბრალდებულ გიორგი იჩუკაიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

როგორც მოსამართლე ზვიად შარაძემ განმარტა, ახალი დანაშაულის ჩადენისა და მასალების განადგურების დიდი რისკი არსებობდა.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ გიორგი იჩუკაიძის ადვოკატმა ლევან მარსაგიშვილმა აღნიშნა, სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი არ არსებობდა.

– ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით გიორგიმ თავის სიტყვაში ისაუბრა. მან თავისი აზრი გამოთქვა საქმის მოტივზე. მას სურს, რომ აღნიშნულ საქმეზე დეტალურად თვითონ მისცეს ჩვენება და თუ საქმე დადებითად წავა, თვითონ დაფიქსიროს მოტივი სასამართლო პროცესზე. სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები, მოსამართლის გადაწყვეტილება ჩემთვის არ იყო ამომწურავი, გამომდინარე იქიდან, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი არ არსებობდა. მოსამართლეს ვერ დავეთანხმები იმაშიც, რომ თავისუფლების შემთხვევაში გიორგი გაანადგურებდა საქმის მტკიცებულებებს, იქიდან გამომდინარე, რომ ის ნებაყოფლობით მონაწილეობს საგამოძიებო მოქმედებებში, – აღნიშნა ლევან მარსაგიშვილმა.

პროკურორ გიორგი ხაჩიძის განმარტებით, იჩუკაიძე თვლის, რომ ადგილი, სადაც აზერბაიჯანელი მესაზღვრეები იმყოფებიან, საქართველოს ტერიტორიაა და მას მესაზღვრეების გაძევება იარაღის გამოყენებით სურდა.

– როგორც ბრალდებულმა განაცხადა, ის დავით გარეჯში მივიდა იმ მიზნით, რომ უნდოდა აზერბაიჯანელი მესაზღვრეების იქიდან გაძევება. ის თვლის, რომ ადგილი, სადაც აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დგანან, არის საქართველოს ტერიტორია და მან მოინდომა, რომ იარაღის ძალით გაეძევებინა აზერბაიჯანელი მესაზღვრეები.

მას სურდა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის დაუფლება, სწორედ ამიტომ აიყვანა მძევლად ქართველი მესაზღვრე და დანარჩენ მესაზღვრეებს სთხოვდა, გადაეცათ მისთვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

თავად ბრალდებულს ჰქონდა ხელყუმბარა და ასევე ჰქონდა პისტოლეტი. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, თუმცა ბრალდების სიმძიმიდან გამომდინარე ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ მისი თავისუფლებაში ყოფნა ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის, – განაცხადა პროკურორმა გიორგი ხაჩიძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და მძევლად ხელში ჩაგდების ბრალდებით, საქართველო-აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვრის შეუთანხმებელ მონაკვეთზე, საქართველოს მოქალაქე გ.ი. დააკავეს.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 4 მარტს, 12:00 საათზე ჩაინიშნა.

გორში ქალმა თვითმკვლელობა ცადა

დაკავებულია მისი ქმარი, ა.რ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული ა.რ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

მას ბრალად ედება ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ძალადობა, თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა და თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რაც 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მეუღლეზე – 1983 წელს დაბადებულ ნ.ნ.-ზე სისტემატურად ძალადობდა. ასევე, დადგინდა, რომ ა.რ.-მ მეუღლეს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა, რის შემდეგაც ქალმა თვითმკვლელობა ცადა.

სამართალდამცველებისთვის მომხდარი ფაქტის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ნ.ნ. საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ძალადობის, თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტებზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, 11 პრიმა 115-ე მუხლისა და 11 პრიმა 143-ე მუხლის 1-ლი ნაწილებით მიმდინარეობს.

სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი კვლავ პატიმრობაში დატოვა

გუშინ, 16 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ თავდაცვის ყოფილი მინისტრი, „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი, ბრალდებული ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვა.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ საქმის პროკურორმა, გიორგი მუკბანიანმა განმარტა, სასამართლო თვეში ერთხელ განიხილავს აღკვეთის ღონისძიების შეცვლას და ვიანადან საქმეში ახალი გარემოებები არ გამოკვეთილა, რაც აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის წინაპირობაა, მოსამართლემ ის პატიმრობაში დატოვა.

მისივე თქმით, მოსამართლემ ასევე მიიჩნია, რომ ოქრუაშვილის მხრიდან კვლავ არსებობს მიმალვისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე.

ადვოკატ ვახტანგ იაშვილის თქმით, ოქრუაშვილის პატიმრობაში ყოფნა პირადად ბიძინა ივანიშვილის მოთხოვნაა.

სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის სამი მოწმე – ორი გამომძიებელი და შსს-ს პრესცენტრის თანამშრომელი დაიკითხა.

საქმეზე მორიგი სასამართლო სხდომა 23 იანვარს გაიმართება.

ქობულეთში, სოკარის ფილიალის ეზოში, დაცვა თოკით დააბეს

ქობულეთში, „სოკარ ჯორჯია გაზი აჭარას“ ფილიალში თავდასხმა მოხდა. თავდამსხმელები შენობაში შეიჭრნენ და დაცვის თანამშრომელი დააბეს, რის შემდეგაც სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გატეხეს. კომპანიის აჭარის ფილიალის ხელმძღვანელის თქმით, დაზიანებულია სწრაფი ჩარიცხვის აპარატი, თუმცა ვახტანგ ბერიშვილი ვერ აკონკრეტებს, წაიღო თუ არა თავდამსხმელმა თანხა.

– ობიექტზე დაცვის ორი თანამშრომელი იმყოფებოდა, თუმცა მეორე სხვა ოთახში იყო და ამ შემთხვევის შესახებ არ გაუგია. დაცვის თანამშრომელი გაკოჭეს და აპარატიდან თანხის წაღებას ცდილობდნენ... აპარატი გახსნილი არ იყო, სხვა დეტალები ზუსტად არ ვიცი, – ამბობს ვახტანგ ბერიშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით დაიწყო, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

თ.გ.-მ მეგობარი ქალის პირადი ვიდეო უკანონოდ ატვირთა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1996 წელს დაბადებული თ.გ. პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ შენახვის, ინტერნეტის საშუალებით მისი გამოყენებისა და გავრცელების, შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ბრალდებით დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ყოფილ მეგობარ ქალს – 2001 წელს დაბადებულ ა.გ.-ს შერიგებას სთხოვდა და სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, რის გამოც თ.გ.-ს მიმართ გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე შემაკავებელი ორდერი გამოიცა.

ბრალდებულმა დაარღვია შემაკავებელი ორდერის პირობები, კვლავ სთხოვდა ა.გ.-ს შერიგებას, უარის მიღების შემდეგ კი მისი პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელში უკანონოდ ატვირთა და გაავრცელა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

რუსეთის ახალი პრემიერი მიხეილ მიშუსტინი გახდა



გუშინ, 16 იანვარს, რუსეთის დუმამ პრემიერ-მინისტრის პოსტზე მიხეილ მიშუსტინის კანდიდატურას მხარი დაუჭირა.

მიშუსტინის მთავრობის მეთაურად დანიშვნას 383-მა დეპუტატმა მისცა ხმა, 41-მა თავი შეიკავა, ხოლო წინააღმდეგ არც ერთი წასულა.

რუსეთის მთავრობა, პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის მეთაურობით, 15 იანვარს გადადგა, მას შემდეგ, რაც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ფედერალური ასამბლეისადმი მიმართვის დროს საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივა წამოაყენა.

53 წლის მიშუსტინი გამოცდილი ფინანსისტი და პუტინის გუნდის წევრია. მისი ცოლი, ჟურნალ „ფორბსის“ ცნობით, რუსი ჩინოვნიკების მეუღლეებს შორის ყველაზე მდიდრად ითვლება. მიშუსტინი გატაცებულია ჰოკეით, არის კლუბ ცსკას სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, თამაშობს ჰოკეის ღამის ლიგაში. ჰოკეით ვლადიმერ პუტინიც არის გატაცებული, რამაც ხელი შეუწყო მისი და მიშუსტინის დაახლოებას.

ამერიკელი ექსპერტები აღიარებენ, რომ პუტინის სვლა მათთვის მოულოდნელი იყო. ყველა მოელოდა, რომ ის ძალაუფლების შენარჩუნებას შეეცდებოდა ან საარჩევნო კანონის შეცვლით (როცა უფლება მიეცემოდა, პრეზიდენტის პოსტზე 2024 წლის შემდეგაც ეყარა კენჭი), ან რუსეთ-ბელორუსის გაერთიანებით.

ეს უკანასკნელი ვარიანტი ჯერაც არ არის გამორიცხული, მაგრამ პუტინმა ახალი გეგმა აამოქმედა – ეს საკონსტიტუციო ცვლილებები და ამ გზით მართვის ბერკეტების შენარჩუნებაა. ახლო მომავალში, შესაძლოა, პუტინი პრემიერ-მინისტრის რანგში მოგვევლინოს. გამორიცხული არ არის არც ის, რომ პუტინი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გახდეს და ამ რანგში მართვის ყველა ბერკეტი შეინარჩუნოს.

რუსი ექსპერტის, იგორ აკოვენკოს აზრით, პუტინის სვლა ორმა ფაქტორმა განაპირობა. პირველი ძალაუფლების შენარჩუნების სურვილია; მეორე – ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა.

ლოკალურმა ომებმა და სანქციებმა რუსეთის ეკონომიკას უდიდესი დარტყმა მიაყენა. დაისადგურა სიღატაკემ, გაიზარდა მოსახლეობის უკმაყოფილება. ყველასთვის ცხადია, რომ ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება. ნელ-ნელა მწიფდება ვითარება, როცა ახალი გარდაქმნა ანუ პერესტროიკა 2 უნდა დაიწყოს. პუტინმაც ამ პროცესის ფორსირება მოახდინა, რათა გარდაქმნა მისი კონტროლით წარიმართოს. თუ მან ეს შეძლო, ძალაუფლებასაც შეინარჩუნებს.

დემოკრატებმა ტრამპის მამხილებელი ახალი დოკუმენტები წარადგინეს

პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა გრძელდება

ამერიკის დემოკრატიული პარტიის წევრებმა კონგრესს ტრამპის წინააღმდეგ ახალი მამხილებელი მასალები წარუდგინეს.

ეს ტრამპის ადვოკატ რუდი ჯულიანისა და სსრკ-ის ყოფილი მოქალაქის, ბიზნესმენ ლევ პარნასს შორის მიმოწერაა.

ჯულიანი პარნასს სთხოვს, რომ უკრაინის ოფიციალურ პირებს შეახვედროს. მიზანი ჯო ბაიდენის ვაჟ ჰანტერზე კომპრომატის მოძიებაა. ბაიდენი, სავარაუდოდ, ტრამპის ძირითადი კონკურენტი იქნება.

დემოკრატიული პარტიის წევრები მიიჩნევენ, რომ ჯულიანი-პარნასის მიმოწერა ადასტურებს, რომ ტრამპი საარჩევნო პროცესზე ზემოქმედებას ცდილობდა და ამიტომ იმპიჩმენტს იმსახურებს.

პარალელურად კონგრესში შედგა კენჭისყრა თემაზე, გადასცენ თუ არა სენატს ტრამპის იმპიჩმენტის დოკუმენტები.

დოკუმენტების გადაცემას მხარი დაუჭირა 228 კონგრესმენმა, წინააღმდეგი იყო 193.

დოკუმენტები სენატში გადაგზავნეს. საბოლოო ვერდიქტიც სენატმა უნდა გამოიტანოს.

იაპონიის გარემოს დაცვის მამაკაცი მინისტრი დეკრეტულ შვებულებაში გადის

იაპონიის გარემოს დაცვის მინისტრი დეკრეტულ შვებულებაში გასვლას აპირებს, რათა მაგალითი მისცეს ქვეყანაში დასაქმებულ მამებს, მეტად ჩაერთონ ბავშვის გაზრდის პროცესში.

– თუ ჩვენ არ შევცვლით ვითარებას, მთავრობაში დასაქმებულები, სავარაუდოდ, არ გავლენ დეკრეტულ შვებულებაში, – განაცხადა შინჯირო კოიზუმიმ.

იაპონიის მთავრობის მდივნის, იოშიჰიდ შუგას თქმით, ის იმედოვნებს, რომ კოიზუმის გადაწყვეტილება დადებით გავლენას მოახდენს მამების მეტ ჩართულობაზე ბავშვების აღზრდაში.

იაპონია მოსახლეობის დაბერების პრობლემის წინაშე დგას. ქვეყანაში შობადობის მაჩვენებელი მკვეთრად შემცირებულია, რის გამოც მთავრობა ცდილობს, წამახალისებელი გარკვეული რეფორმები გაატაროს, მათ შორის ახალშობილთა მამებს შესაძლებლობა მიეცემათ, დეკრეტული შვებულება აიღონ.

ირანის პრეზიდენტი ხალხს ეროვნული ერთიანობისკენ მოუწოდებს

ირანში საპროტესტო გამოსვლები გრძელდება. უკრაინული ბოინგის ჩამოგდების შემდეგ მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა და ხელისუფლების გადადგომა მოითხოვა.

ამ ფონზე პრეზიდენტმა როუჰანიმ განცხადება გააკეთა და მოსახლეობას ერთიანობისკენ მოუწოდა.

როუჰანის თქმით, საერთაშორისო ვითარება გართულდა და ირანის მთავრობამ აქედან სათანადო დასკვნები გააკეთა, მაგრამ ეროვნული ერთიანობის გარეშე არაფერი გამოვა.

– მე ეროვნული კონსოლიდაციისკენ მოგიწოდებთ! – თქვა როუჰანიმ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პრინცმა ჰარიმ სამეფო პრივილეგიებზე უარის თქმის შემდეგ პირველი ვიდეომიმართვა გაავრცელა

პრინცმა ჰარიმ სამეფო პრივილეგიებზე უარის თქმის შემდეგ პირველი ვიდეომიმართვა გაავრცელა. აღნიშნული ჩანაწერი ინსტაგრამში სასექსის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

ვიდეოს პირველ კადრებში ნაჩვენებია შეჯიბრების „დაუმარცხებელთა თამაშების“ გასული წლების ფრაგმენტები. შემდეგ პრინცი ჰარი აანონსებს, რომ 2020 წელს შეჯიბრებები ნიდერლანდების ქალაქ ჰააგაში გაიმართება, ხოლო 2022 წელს – გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში. „ისტორია გრძელდება“, – შეაჯამა სასექსის ჰერცოგმა საკუთარი ვიდეომიმართვა.

„დაუმარცხებელთა თამაშებში“ მონაწილეობენ ყოფილი ან მოქმედი დაინვალიდებული სამხედრო მოსამსახურეები. პრინცმა ჰარიმ, რომელმაც ათი წელი იმსახურა შეიარაღებულ ძალებში, მოაწყო შეჯიბრების ორგანიზება, რათა ამით ყველასთვის დაენახვებინა სპორტის დადებითი ზეგავლენა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტრავმებმიყენებულ ადამიანებზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ეთერ ჭყონია: „ჩვენ გაგვიმართლა!“

ოპერის მომღერალ ეთერ ჭყონიას მიაჩნია, რომ ჩვენ გაგვიმართლა:

– თუ აზრი „მე უნდა გავაკეთო“ შეცვალე აზრით „მე ბედნიერი ვარ, რომ“, მაშინ იცვლება შენი ცხოვრება. თუ დილით გაიღვიძებ და ფიქრობ, „დღეს უნდა წავიდე სამსახურში“, იმწამსვე შეცვალე აზრი და იფიქრე: „მე გამიმართლა, დღეს რომ სამსახურში მივდივარ“. აზრი „მე უნდა“ ატარებს უკმაყოფილებისა და წინააღმდეგობის ჩრდილს, ხოლო აზრს, „მე ბედნიერი ვარ, მე გამიმართლა, რომ“, დაუყოვნებლად გადააქვს ჩვენი ყურადღების ცენტრი იმ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენი მოქმედება დალოცვილია. „მე გამიმართლა, რომ დღეს გავიღვიძე, რომ მაღაზიაში მივდივარ. მე გამიმართლა, რომ ბავშვთან გაკვეთილებს ვამზადებ. მე ბედნიერი ვარ, რომ შაბათ-კვირას ვმუშაობ... ბედნიერი ვარ, რომ ვარ ისეთი, როგორიც ვარ. ეს არის ძალიან ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანისთვის აუცილებელია. მთავარია გვახსოვდეს, რომ ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, „ჩვენ გაგვიმართლა“!

ყველაზე მეტად ამ სიტყვებს სტატისტიკა ადასტურებს, რომლის მაგალითებს ამჯერად მე დავამატებ:

დღესდღეობით მსოფლიოში 4 მილიარდზე მეტ ადამიანს არა აქვს სახლში ინტერნეტი;

2 მილიარდზე მეტს არა აქვს უსაფრთხო წყალი;

ყოველ წელს იკარგება 9 მილიონზე მეტი ადამიანი და ყოველ 2 წუთში ევროპაში იკარგება ერთი ბავშვი;

ყოველ 5 წამში, განვითარებული ქვეყნების ჩათვლით, მსოფლიოში კვდება ერთი ბავშვი, ხოლო წელიწადში 1 მილიარდი ბავშვი ძალადობის მსხვერპლია;

დაახლოებით 800 მილიონი ადამიანი დღეს შიმშილობს;

41 მილიონი დაავადებულია შიდსით. ეს მხოლოდ არატრადიციულ დაავადებებზე თუ ვილაპარაკეთ, ხოლო 1 მილიონი სუიციდით ამთავრებს ცხოვრებას.

ასეთი ინფორმაციის შემდეგ შეიძლება, შესჩივლო ცხოვრებას? პირადად მე ეს ძალიან მაფხიზლებს. მგონი, ხშირად სჭირდება ადამიანს ამ სტატისტიკის შეხსენება, თერაპიის ტოლფასია, როდესაც „დეპრესიაში“ ვვარდებით, ხოლო თუ გასული საუკუნის მსოფლიო ბოროტებებს გავიხსენებთ, მაშინ უეჭველად დღეს სამოთხეში ვცხოვრობთ. ასე არ არის? მაგრამ უმადურობას რა ვუყოთ... ჭერიც გვაქვს, არც გვაწვიმს, არც ვშიმშილობთ, ახლობლებსაც ვუყვარვართ, წარმატებულებიც ვართ უმეტეს შემთხვევაში და მაინც ვახერხებთ უხასიათოდ ყოფნას.

2020 წლისთვის ვისურვებდი, არ დაგვიწყდეს, რომ ჩვენ გაგვიმართლა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● ტიბეტური მედიცინა გთავაზობთ დაავადების გამომწვევ მიზეზთა დიაგნოსტიკას სპეციალური აპარატურით. მკურნალობას ჩაგიტარებენ მოწვეული ექიმები. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

ვერელებმა ტიტებს 24 ქულა ამოუქაჩეს

თბილისში ქორქია-საკანდელიძის მემორიალი დაიწყო

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების – ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის რიგით მე-15 მემორიალური ტურნირი თბილისის ოლიმპიურ სასახლეში დაიწყო, სადაც 4 მატჩი გაიმართა. ტურნირის მონაწილე 12 გუნდი 4 ჯგუფშია თავმოყრილი და ნახევარფინალში გასასვლელად პირველ ადგილზე გასვლაა საჭირო. ნახევარფინალების ჩათვლით მატჩები თბილისში გაიმართება, ხოლო ფინალი – ქუთაისში.

პირველ დღეს გამართულ პირველ ტურში თითოეული ჯგუფის 2 მონაწილე თამაშობდა, 1 კი ისვენებდა.

ტურნირში სუპერლიგის 12 გუნდი მონაწილეობს, რომლებსაც ა ლიგის წარმომადგენელი – კავკასია დაემატა. დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა კავკასიელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს კაკტუსს და გამარჯვებამდე მცირედი დააკლდათ. არჩილ ყღენტის გაწვრთნილი კაკტუსელები თითქმის მთელი თამაშის მანძილზე აგებდნენ და ბოლო პერიოდის 10 ქულით მოგების წყალობით, ბოლო წუთებზე გამარჯვებას მიაღწიეს – 88:86.

კაკტუსს 30 ქულით ჯასტინ ევერეტმა ულიდერა, ხოლო მიხეილ ჭოჭუასა და ახალწვეულ მაიკლ დევისის ანგარიშზე 16-16 ქულა დაგროვდა.

კავკასიაში 24 ქულით საუკეთესო იყო ბრენდონ უილისი, მარკიზ მეიფილდის ანგარიშზე კი 23 ქულა დაგროვდა.

ბ ჯგუფში იოლი გამარჯვება მოიპოვა რუსთავმა, რომლის შემადგენლობაშიც საქართველოს ეროვნული ნაკრების 19 წლის წევრი რატი ანდრონიკაშვილი გამოჩნდა. რატიმ გამორჩეულად ბევრი – 8 ჩაჭრა მიითვალა, რასაც 9 ქულა, 6 პასი და 4 მოხსნა მოაყოლა. რუსთაველებმა კი გუნდური თამაშის წყალობით დაჯაბნეს მგზავრები. ქვემოქართლური გუნდი უკეთესად და გაცილებით შედეგიანად თამაშობს ანატოლი ბოისას ხელში, რომელმაც რაც მთავარი მწვრთნელი პოსტზე ბერძენი გიორგიოს კეცელიდისი შეცვალა, წაგება არ განუცდია.

რუსთაველებმა საბოლოოდ 87:70 გაიმარჯვეს. ქვემოქართლელთაგან საუკეთესო შედეგი ნიკოლა ტადიჩმა აჩვენა – 17 ქულა და 10 მოხსნა. 17 ქულა ჰქონდა აკაკი დვალიშვილსაც, ხოლო დენზელ ლივინგსტონის ანგარიშზე 16 დაგროვდა. მგზავრებში 16 ქულით ბომბარდირი დარელ ქომბსი გახდა.

დაძაბული არ გამოდგა ქუთაისისა და ცხუმ-აფხაზეთის დაპირისპირებაც. იმერულმა გუნდმა მეტოქე დამაჯერებელი სხვაობით – 94:66 დაამარცხა და ნახევარფინალისკენ მოზრდილი ნაბიჯი გადადგა. ქუთაისელებმა განსაკუთრებით შედეგიანად პირველი და ბოლო პერიოდები ჩაატარეს, რომლებიც, შესაბამისად – 25:11 და 30:18 მოიგეს.

გამარჯვებულთაგან 5 მოთამაშე ასცდა 10-ქულიან ბარიერს, რომელთაგან 15-15 ქულით გიორგი ბარბაქაძე და ჯეიმს მილიკენი გამოირჩნენ. 14 ქულა ჰქონდა ლევან გრძელიძეს. ქუთაისელებს დაუბრუნდათ დეჟან რაითი, რომელიც გუნდში წინა 2 სეზონის განმავლობაშიც თამაშობდა. რაითმა ამ სეზონის სადებიუტო მატჩში 9 ქულა მიითვალა.

ცხუმ-აფხაზეთში 12 ქულით, 9 მოხსნით, 7 პასითა და 4 ჩაჭრით საუკეთესო იყო ზუკა მაჩალაძე.

დ ჯგუფში მცირე სენსაცია მოხდა. ტიტები მე-3 პერიოდში 24 ქულით ამარცხებდა ვერას, მაგრამ თამაში მაინც ვერელებმა მოიგეს – 88:83. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა ბოლო პერიოდში 35:16 იმარჯვა და ერთი შეხვედვით უიმედო მდგომარეობიდან შეძლო მეტოქის დამარცხება.

ვერელებს ახალი ლეგიონერი – მაიკ ჰიუზი ჰყავთ, რომელმაც 2 ქულით შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, თუმცა მოწოდების სიმაღლეზე იყო გუნდის ერთგული და გამოცდილი ლეგიონერი ბრენდონ სლაი, რომელმაც 5 სამქულიანი ჩააგდო და შეხვედრა 29 ქულით დაასრულა.

15 ქულა ჰქონდა გივი ბაქრაძეს, ხოლო ვენდელ ლუისსა და ნოდარ თენიეშვილს – 12-12.

ტიტებში 18 ქულით ყველაზე შედეგიანი ნიკა მეტრეველი იყო.

ოთარ კიტეიშვილი: „ვეცდებით, მარტში ქომაგები გავახაროთ“

საქართველოს ნაკრებისა და გრაცის შტურმის ნახევარმცველი ოთარ კიტეიშვილი ეროვნული გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. ევრო 2020-ის შესარჩევში ქართველთაგან ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო. კიტეიშვილმა იმდენად კარგად ითამაშა, რომ ვლადიმირ ვაისის შექებაც დაიმსახურა. მეტიც, 2019 წლის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელის ნომინაციაზე იყო წარდგენილი და მხოლოდ ჯაბა კანკავამ აჯობა.

ასევე მოკლე ხანში იქცა ავსტრიული გუნდის ლიდერად და ტურის სიმბოლურშიც არაერთხელ შეიყვანეს.

– როგორი შეაფასებდი 2019 წელს?

– მთლიანობაში საკმაოდ კარგი წელი გამომივიდა. შტურმის რიგებში თითქმის ყველა მატჩში მივიღე მონაწილეობა და ეროვნულ გუნდშიც მხოლოდ 1 შეხვედრა გამოვტოვე. კარგი წელი იყო და იმედია 2020 უკეთესი იქნება.

– რადგან ნაკრები ახსენე, ამ თემით დავიწყოთ.

– მართალია, გუნდმა რამდენიმე კარგი მატჩი ჩაატარა, თუმცა, ვფიქრობ, ევრო 2020-ის შესარჩევში უკეთ გამოსვლა შეგვეძლო. ყველამ კარგად ვიცით, რომ წინ უმნიშვნელოვანესი თამაშები გველის და ვეცდებით, მარტის მატჩებში მიღწეული წარმატებებით გავახაროთ გულშემატკივრები.

– როგორც თავად აღნიშნე, ნაკრებს უკეთ გამოსვლა შეეძლო. შენი აზრით, რამ შეუშალა ამაში ხელი?

– რამდენიმე მიზეზია, რის გამოც წარმატებას ვერ მივაღწიეთ. ვფიქრობ, სტაბილურობა გვაკლდა, ასევე ხშირი იყო ტრავმები. ყველა მატჩში რამდენიმე ფეხბურთელი მოვისაკლისეთ, რამაც ძალიან შეგვიშალა ხელი. აღსანიშნავია, რომ რიგ ეპიზოდებში იღბალმა ზურგი გვაქცია.

– ბოლო პერიოდში ნაკრების ერთ-ერთი შეუცვლელი ფეხბურთელი ხარ. ამან ალბათ თავდაჯერებულობაც შეგმატა.

– რა თქმა უნდა. ის ფაქტი, რომ ეროვნული გუნდის წევრი ვარ ძალიან ბევრს ნიშნავს, და როცა მოედანზე გადიხარ ორმაგად სასიხარულოა. დიახ, თავდაჯერებულობა მართლაც მომემატა, რაც ძალიან სასიამოვნოა.

– რა მოლოდინი გაქვს ბელარუსთან მატჩზე?

– ამ თემაზე ბევრი საუბარი არც ღირს. ყველამ კარგად ვიცით რა მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის წინ და თითოეულმა ჩვენგანმა წარმატების მისაღწევად მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ.

– ერთა ლიგის ნახევარფინალი და მოგების შემთხვევაში ფინალი თბილისში ჩატარდება. არის ეს ფეხბურთელებისთვის დამატებითი მოტივაცია?

– დიახ, როცა ასეთი შეხვედრების ჩატარება საშინაო კედლებში გიწევს საკუთარი ქომაგების წინ, ეს ბევრს ნიშნავს.

– საკლუბო ამბებზეც გადავიდეთ. წელიწად-ნახევარია, რაც შტურმში გადახვედი და პროგრესი აშკარაა. ყველაზე მეტად რა კომპონენტში მოუმატე?

– სათამაშო პრაქტიკა არ მაკლია და ეს ყველაზე მეტად მახარებს. საბედნიეროდ, ხელი არც ტრავმას შეუშლია. ისიც მსიამოვნებს, რომ მწვრთნელები მუდმივად მენდობიან და მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. რაც შეეხება პროგრესს, ყველაზე მეტად ფიზიკურ კონდიციებში მოვუმატე.

– როგორც ვიცით, შენით რამდენიმე გუნდია დაინტერესებული. რამდენად დიდია იმის შანსი, რომ მალე სხვა კლუბში გიხილოთ?

– ტრანსფერზე საუბარი ჯერ ნაადრევია, რადგან შტურმის ფეხბურთელი და დიდი ალბათობით სეზონის ბოლომდე გუნდს არ გამოვიცვლი. ამჟამად მთლიანად ამ სეზონზე ვარ კონცენტრირებული.

– საქართველოს ნაკრებში ხან საყრდენად თამაშობ, ხანაც – ფლანგზე. შტურმში ძირითადად რა პოზიციაზე გათამაშებენ?

– ძირითადად თავდამსხმელების უკან, სადაც ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ თავს. თუმცა, ხშირად საყრდენად იქაც მითამაშია, რამდენიმე შეხვედრაში ფლანგზეც დამაყენეს. პოზიციას ტაქტიკიდან გამომდინარე მირჩევენ ხოლმე.

– რა არის გუნდის მიზანი ამ სეზონში?

– ჩვენი მთავარი ამოცანა სამეულში მოხვედრაა და, ვფიქრობ, ამის ძალა შეგვწევს.

– რა მიზანი დაისახე 2020 წლისთვის?

– ყველა მატჩის მოგება. შესაძლოა რომელიმე თამაშში წარმატებას ვერ მიაღწიო, თუმცა ფსიქოლოგიურად მზად ვარ იმისთვის, რომ თითოეულ შეხვედრაში მოგებისთვის ვიბრძოლო და ამისთვის მაქსიმუმი გავაკეთო.

ბითაძეს ცოტა დრო აქვს, ბასკონია ისევ აგებს

ბითაძის ინდიანა პეისერსმა ნბას მორიგ მატჩში სტუმრად მინესოტა ტიმბერვულვზს 104:99 მოუგო, 20 წლის ქართველ კალათბურთელს კი დიდი სათამაშო დრო ისევ არ მისცემია.

პეისერსის მთავარმა მწვრთნელმა ნეიტ მაკმილანმა გოგა მოედანზე 4 წუთი გაიყვანა, არადა, გუნდის ძირითად ცენტრ მაილს ტერნერს თამაში აშკარად არ წაუვიდა და 23 წუთში მხოლოდ 7 ქულა მოაგროვა.

ბითაძემ მეტოქის ფარს ერთადერთხელ და ისიც ზუსტად შეუტია და 2 ქულას 2 მოხსნა (1 შეტევაში) წაამატა. ქართველ ცენტრს ბურთი არ დაუკარგავს და არც პერსონალური ფოლი მიუღია.

21 ქულა მიითვალა ინდიანელთა გამთამაშებელმა მაღკოლმ ბროგდონმა, მატჩის საუკეთესო მოთამაშე კი ლიეტუველი ფორვარდი დომანტას საბონისი გახდა, რომელმაც სეზონისთვის პირასარეკორდო 29 ქულა ჩააგდო და აქტივში 13 მოხსნა და 6 პასიც ჰქონდა.

პეისერსმა 26 მოგება და 15 მარცხი მოაგროვა და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი იმავე მინესოტასთან, ოღონდ უკვე შინ, 19 იანვარს ჩაატარებს.

ევროლიგის მორიგ ტურში თორნიკე შენგელიას ბასკონია სანკტ-პეტერბურგის ზენიტს დაუპირისპირდა. მატჩი სანკტ-პეტერბურგში გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა – 72:66.

ბასკები ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდნენ მოგების შანსს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ზენიტმა უკეთესად ითამაშა და ბასკონიამ ამ სეზონში მე-12 მარცხი განიცადა. მას 7 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-14 პოზიციაზეა.

თორნიკემ თითქმის შეუცვლელად ითამაშა: 37 წუთში 13 ქულა, 6 მოხსნა და 6 პასი მოაგროვა. მან 8-დან 6 ორქულიანი და 1-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა მეტ ჯენინგმა კი სტუმრებს 9 ქულა შეაწია.

პეტერბურგელთა და საერთოდ მატჩის ბომბარდირი ვილ ტომასი გახდა – 19 ქულა ჩააგდო. სხვათა შორის, ტომასი თბილისის არმიას ღირსებას იცავდა. 13 ქულა ჰქონდა თბილისის ვითაში ნათამაშებ ბასკონიელ პიერია ჰენრის.

ბასკონია ევროლიგაზე მომდევნო მატჩს მოსკოვში, ცსკა-ს წინააღმდეგ გამართავს.

შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში ესპანელებს რუსები დამარცხებულები ჰყავთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

თბილისის დინამო თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა

თბილისის დინამო გუშინ თურქეთში გაემგზავრა და შეკრებას იქ გაივლის. ანტალიაში საწვრთნელი შეკრების პირველი ეტაპი თვის ბოლომდე გასტანს და ამ პერიოდში საქართველოს ჩემპიონი 4 ამხანაგურ შეხვედრასაც გამართავს.

18 იანვარს დინამო რუმინულ ვოლუნტარის გაეჯიბრება, 22 იანვარს სპარინგ მეტოქეობას ბულგარული პლოვდივის ბოტევი გაუწევს, 25 იანვარს ასევე ბულგარეთის არდას ეთამაშებიან, ხოლო 30 იანვარს მეტოქედ პოლონური კრაკოვის ვისლა ეყოლება.

რაც შეეხება გუნდში მომხდარ ცვლილებებს: ახალი მწვრთნელი უკვე იცით – კახა ჩხეტიანია, რომელიც გასულ სეზონში ქუთაისის ტორპედოს წვრთნიდა. ჩხეტიანმა ტორპედოდან წამოიყვანა როინ კვასხვაძე და თორნიკე კაპანაძე, საბურთალოდან მივიდნენ ომარ მიგინეიშვილი და ნიკა სანდოხაძე, იჯარა დაუსრულდათ და გუნდში დაბრუნდნენ გიორგი კუცია, რომელიც გასულ სეზონში გორის დილაში თამაშობდა, ხოლო გიორგი მამარდაშვილი რუსთავისთვის ირჯებოდა. ყველაზე „ხმაურიანი“ შენაძენი დინამოსთვის ირაკლი ბუღრიძეა, რომელიც ბელგიური ბეერსხოტიდან დაბრუნდა საქართველოში.

დინამოდან წავიდნენ: გუჯა რუხაია, ვიქტორ მონხილი, ლევან კუტალია, მათე კვირკვია, ხოსე პერალესი, სერგი ლიტოვჩენკო, მიხაილო შიშკა.

ფეხბურთი

15 იანვარი

ფეხბურთი

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალკორკონი-ნუმანსია	2:2
უესკა-ტენერიფე	2:1
რაიო-ლუგო	1:0
კადისი-მირანდესი	3:3

იტალია. თასი

ფიორენტინა-ატალანტა	2:1
მილანი-სპალი	3:0
იუვენტუსი-უდინეზე	4:0

საფრანგეთი. ლიგა 1

ამიენი-რეიმსი	1:1
ნიმი-რენი	0:1
მონაკო-პსჟ	1:4

საკუთნიო ცხრილი:

1.პსჟ	20	16	1	3	50-14	49
2.მარსელი	20	12	5	3	30-21	41
3.რენი	20	11	3	6	25-18	36
4.ნანტი	20	10	2	8	19-18	32
5.ლილი	20	9	4	7	24-22	31
6.მონპელიე	20	8	6	6	28-20	30
7.ლიონი	20	8	5	7	31-19	29
8.რეიმსი	20	7	8	5	17-13	29
9.მონაკო	20	8	5	7	35-33	29
10.ანჟე	20	8	5	7	23-25	29
11.ნიცა	20	8	4	8	29-28	28
12.სტრასბური	20	8	3	9	23-25	27
13.ბორდო	20	7	5	8	29-24	26
14.ბრესტი	20	6	7	7	26-26	25
15.სტ.ეტიენი	20	7	4	9	22-31	25
16.დიჟონი	20	5	6	9	15-22	21
17.მეცი	20	4	8	8	18-28	20
18.ამიენი	20	4	6	10	23-39	18
19.ნიმი	20	3	6	11	15-33	15
20.ტულუზა	20	3	3	14	21-44	12

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 2. საშობაო სიმღერა; 3. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 4. დნმ-ის აღმომჩენი ამერიკელი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 9. მოდელების სააგენტო თბილისში; 12. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 14. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 15. ფრანგული მსუბუქი ავტომობილი; 17. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი დაჯგუფება; 18. ერთხმიანი სიმღერა ოპერაში.

თარაზულად: 6. ღვარძლიანი, ბოროტი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 7. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ცირკის აკრობატთა დამცავი ქამარი; 11. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 13. ძველი ბერძნული ქალაქების გამაგრებული ნაწილი; 16. შეძლებული გლეხის სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 19. ადამიანი, რომელმაც უღალატა საკუთარ რწმენას; 20. ხეობა, ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფურორი; 2. ხუდონი; 3. ბოულინგი; 4. ანეული; 6. აერობუსი; 8. ფიკუსი; 11. კუპიდონი; 12. მუშაითი; 16. ბასრა; 17. დაფნე; 18. ლიოვი

თარაზულად: 1. ფერხისა; 5. კაკაო; 7. კოფეინი; 9. ოოლოგია; 10. მურილიო; 13. საიგაკი; 14. ნუნისი; 15. ყუმი; 19. დამბაჩა; 20. რაფინადი; 21. სამეგრელო; 22. ჟიგული.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ლიტანია; 2. პუნში; 3. კანცლერი; 4. ყარყუმი; 5. სინტოიზმი; 9. სონატა; 12. პულკოვო; 14. პანამა; 15. ელბა; 17. საარი; 18. აკრი.

თარაზულად: 6. სინხუა; 7. ვარიანტი; 8. ჰაშიში; 10. დუომო; 11. კარაბინერი; 13. ოპონენტი; 16. ზუროსი; 19. კორონერი; 20. საკოიარი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8818

ევრო — 3.2158

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7639

100 რუსული რუბლი — 4.6881

ამინდის პროგნოზი 17 იანვრისთვის

ხელოვნების სასახლეს უცნობმა ბებომ 500 ლარი შესწირა

ხელოვნების სასახლეს უცნობმა 70 წლის ბებომ შვილის დანატოვარი 500 ლარი შესწირა:

– სასახლის მესამე სართულზე რომ ამოვიდა, ქშინავდა. მომერიდა ასეთ მდგომარეობაში მისი ნახვა, რომ მცოდნოდა ასაკი, თავად ჩავიდოდი, არადა, მითხრეს, ჩვეულებრივ მოქალაქეს უნდა შეხვედრაო...

დიახ, ერთი ჩვეულებრივი ბებოა, თითქოს არაფრით გამორჩეული, დაახლოებით 70 წლამდე იქნება ან ცოტა მეტი... დღევანდელ დღეს არავის ულხინს, ალბათ არც მას... თუმცა ის ყველაზე უცნაური და მოულოდნელი „თხოვნით“ მოვიდა.

11 წელია, ამ მუზეუმის დირექტორი ვარ და ასეთი გულწრფელი, ასეთი აუწონავი და გულუხვი საჩუქარი არავის გაუკეთებია... მან მუზეუმს 500 ლარი შესწირა, გვთხოვა, ეს მისი შესაწირავი უხმაუროდ მიგვეღო... თავიდან ვიუარეთ, ძალიან ეწყინა, თვალები აუწყლიანდა, „შვილმა დამიტოვა ეს ფული, მე კი მინდა, ჩემს სამშობლოს მივეხმარო და თქვენ ნუ ამიკრძალავთო“, – მითხრა და უარი უკვე ვეღარ შევბედე.... კატეგორიულად ამიკრძალა მისი სახელის გახმიანება, უანგარო ქველმოქმედება გაიღო და უხმაუროდ წავიდა...

რა მაგარი ქვეყანაა, ხომ, საქართველო?! მიუხედავად იმისა, რომ ბევრ შეცდომას ვუშვებთ, მიუტევებელი ხარვეზებიც ახლავს ჩვენს თანამედროვეობას, ჩვენში არიან ისეთები, რომლებიც ეპოქას ქმნიან, ეპოქას, რომელმაც საქართველო აუცილებლად გამარჯვებასთან უნდა მიიყვანოს.

ილო ბეროშვილი და ანი ბებია ბიჭის მშობლები გახდებიან

მსახიობები ილო ბეროშვილი და ანი ბებია პირველ საერთო შვილს ელოდებიან. ისინი ბიჭის მშობლები გახდებიან.

– ბიჭია, ბიჭი! – დაწერა გახარებულმა მამიკომ სოციალურ ქსელში და უამრავი მილოცვაც მიიღო.

ილო ბეროშვილს ნელიკო აგირბასთან ორი გოგონა ჰყავს.

ბორის შხიანს ოპერაცია დასჭირდა

კომპოზიტორ ბორის შხიანს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა და ექიმების დახმარება დასჭირდა.

კომპოზიტორს ოპერაცია ჩაუტარდა და სამი სტენტი ჩაუდგეს. ამჟამად ხელოვანი თავს კარგად გრძნობს.

ინფორმაცია ბორის შხიანის მეუღლე ნანა ნიკოლაძემ გაავრცელა:

– უღრმესი მადლობა ყველა ჩვენს მეგობარსა და კეთილისმსურველს, ვინც დაინტერესდა ბორისის ჯანმრთელობის მდგომარეობით.

ოპერაციამ კარგად ჩაიარა, სამი სტენტი ჩაუსვეს და ახლა თავს მხნედ გრძნობს ჩვენი საყვარელი კომპოზიტორი. თვითონაც მადლობას გიხდით სითბოსა და სიყვარულისთვის. მალე შინ ვიქნებით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

17 იანვრისთვის

ვერძი – პროვოკაციული დღეა. ბედი გამოცდას გიწყობთ. იზრდება ტრავმების მიღების ალბათობა. თუ გსურთ, წარმატებას მიაღწიოთ, მაქსიმალური თავშეკავება და მოთმინება გმართებთ. **კურო** – ცოდნის არეალის გასაფართოებლად, სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი პერიოდია. საყვარელი ადამიანისგან სასიხარულო ინფორმაციას მიიღებთ. **ტყუპები** – დილიდანვე კონფლიქტია მოსალოდნელი. ქედმაღლობა ცუდ შედეგებამდე მიგიყვანთ. იყავით წინდახედული და სულგრძელი. **კირჩხიბი** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. მელანქოლიური დღეა, თუმცა საამისო მიზეზი არ გაქვთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ხელმძღვანელ პირებთან და საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა წარმატებას მოგიტანთ. დღეს გაცნობილი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. **ქალწული** – პროვოკაციული დღეა. ბედი გამოცდას გიწყობთ. იზრდება ტრავმების მიღების ალბათობა. თუ გსურთ, წარმატებას მიაღწიოთ, მაქსიმალური თავშეკავება და მოთმინება გმართებთ. **სასწორი** – გელით როგორც სასიხარულო, ისე უსიამოვნო მოულოდნელობები. იყავით მაქსიმალურად ტაქტიანი. წინდაუხედავი გამონათქვამები კონფლიქტს გამოიწვევს. **ღრიანკალი** – დამშვიდდით და ეცადეთ, ცხოვრებისგან სიამოვნება მიიღოთ. ნერვებს გაუფრთხილდით. ემოციებს არ აჰყვეთ. **მშვილდოსანი** – დღეს მაქსიმალური წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უნდა გამოიჩინოთ. ეს განსაკუთრებით მამაკაცებს ეხება. ნუ იქნებით ამპარტავანი. **თხის რქა** – კოლექტიური საქმიანობა სასარგებლო იქნება. დიდხანს მარტო დარჩენას პლანეტები არ გირჩევენ. **ვერცყული** – ერიდეთ სკანდალურ სიტუაციებს, განსაკუთრებით ოჯახის წევრებთან. დღეს ძალიან გაგიმართლებთ, დასახულ მიზანს იოლად მიაღწევთ. **თევზები** – ოჯახში წვრილმანი უსიამოვნება გელით. ფინანსური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ჯანმრთელობას მიხედეთ. კარგი იქნება, თუ ორგანიზმის გამწმენდ პროცედურებს ჩაიტარებთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

მამა შვილს არიგებს:

– შვილო, კარგად დაიმახსოვრე! ამ ქვეყანაზე ყველაზე საშიში შტეფსელში, ხორცის საკეპ მანქანასა და საქორწინო ბეჭედში თითის შეყოფაა.

•••

კაცი მწვადებს წვავს. ცოლი დაუძახებს:

– მწვადი ამოვატრიალო?

– არა, დედიშენისამ, ავტორეევერსია და თავისით გადატრიალდება.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– ქეთი, შინაგანი ხმა თუ გაქვს?

– კი, მაქვს და მერე რა?

– და ყველაზე ხშირად რას გკარნახობს?

– „ქეთი, გაჩუმდი!“

•••

ქუჩაში ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეკითხება:

– საინტერესოა, კიდევ რა ახალ კანონებს მოიგონებენ ამ წელს?

– რას და, მაგალითად, სექსსათამაშოს მყიდველი დაიბეგრება, როგორც თვითდასაქმებული.

– შენ რა, ჩვენი პარლამენტის დეპუტატი ხარ?

•••

ქუჩაში მამაკაცი ბავშვს, რომელიც ძაღლს ასეირნებს, ეკითხება:

– ბიჭიკო, ეგ შენი ძაღლი უცნობებს თავისთან ახლოს უშვებს?

– რა თქმა უნდა, ბიძია, აბა, სხვაგვარად როგორ უკბენს?!

•••

დილით ფიფქია იღვიძებს და თოვლის პაპას ეკითხება:

– პაპა, გუშინდელის შემდეგ აღარაფერი მახსოვს.

– როდესაც ბავშვებთან საახალწლო ნაძვის ხეზე მივედით, უკვე საკმაოდ ნასვამი იყავი, შემდეგ იქ კიდევ ერთიორი ჭიქა გადაჰკარი, გაიხადე და სტრიპტიზის ცეკვა დაიწყე.

– მეც არ გამიკვირდა, ტრუსიკი კანფეტებით რატომ მაქვს სავსე-მეთქი.

ჰარი კეინი: „ტოტენჰემი ჩემ გარეშეც ძლიერია“

ლონდონის ტოტენჰემის ფორვარდმა ჰარი კეინმა განაცხადა, რომ მიუხედავად მისი ტრავმისა, ტოტენჰემი კვლავ ძალიან ძლიერია და კრიზისი არ დაეწყება.

კეინს თავის პარტნიორებში ეჭვი არ ეპარება:

– ძალიან სამწუხაროა, რომ ტრავმა მივიღე და ჩემს გუნდს დიდი ხნის განმავლობაში ვერ დავეხმარები, მაგრამ ეს ქვეყნის დასასრული არ არის, რადგან ტოტენჰემს ჩემ გარეშეც შეუძლია კარგად თამაში. იმედი მაქვს, მოედანს რაც შეიძლება მალე დავუბრუნდები.

კეინმა ტრავმის გამო, შესაძლოა, 4 თვე გამოტოვოს და მხოლოდ მაისში დაბრუნდეს.



ხავიმ დაადასტურა, რომ ბარსელონას უარი უთხრა

ბარსელონის ლეგენდა ხავი ერნანდესმა დაადასტურა, რომ მან ბარსელონის გაწვრთნაზე უარი თქვა.

ხავის თქმით, მისთვის ჯერ ადრეა ასეთი თანამდებობის დაკავება, რადგან საკმარისი გამოცდილება არ გააჩნია:

– ჩემთვის დიდი პატივი იყო ბარსელონისგან მსგავსი წინადადება, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან ჯერ ამისთვის მზად არ ვარ. მინდა, რომ გამოცდილება მივიღო და შემდეგ ვიფიქრო ასეთ რამეებზე. იმედი მაქვს, გულშემატკივარი სწორად გამიგებს.

ბარსელონამ ერნესტო ვალვერდე გაუშვა და მის მაგივრად კიკე სეტიენი დანიშნა.

კიკე სეტიენმა ფეხბურთი ჭადრაკს შეადარა

ბარსელონის ახლად დანიშნულმა მწვრთნელმა კიკე სეტიენმა ფეხბურთის თამაში ჭადრაკს შეადარა. სეტიენის აზრით, ჭადრაკშიც და ფეხბურთშიც სვლები წინასწარ უნდა გათვალო იმისთვის, რომ გამარჯვებას მიაღწიო:

– ფეხბურთში ბევრი რამ ტაქტიკიდან მოდის და ჭადრაკშიც ასეა, რადგან მთავარი სწორი აზროვნებაა. თუ ამას გააკეთებ, შეგიძლია, წარმატებაზე იფიქრო. ბარსელონაში ბევრი საინტერესო მატჩი გველოდება და მხოლოდ უმაღლესი მიზნები გვექნება.

მარკუს რეშფორდმა ტრავმა მიიღო

მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდმა მარკუს რეშფორდმა ვულვერჰემპტონთან მატჩის დროს ტრავმა მიიღო, რის გამოც ის, სავარაუდოდ, ორ კვირას გამოტოვებს.

სოლსკიაერმა მის ტრავმაზე უკვე გააკეთა კომენტარი:

– მარკუსმა მეტოქესთან შეჯახების დროს მცირე დაზიანება მიიღო, მაგრამ ეს ტრავმა სერიოზული არ არის. ის იანვრის ბოლოს დაბრუნდება, თუმცა, სამწუხაროა, რომ ლივერპულთან ვერ ითამაშებს.

ლივერპულთან მატჩი 19 იანვარს გაიმართება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ლოზანაში ოქროც ავიღეთ

ლოზანაში მიმდინარე ზამთრის მე-3 ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ფიგურულ ციგურაობაში მედლების ბოლო კომპლექტი გათამაშდა. ამჯერად ოლიმპიური მედლებისთვის იბრძოდნენ ე.წ. შერეული ინტერნაციონალური გუნდები. თითოეული გუნდი შედგებოდა მოცეკვავე და სპორტული წყვილების, გოგონათა და ვაჟთა ერთეულთა თანრიგის ფიგურისტებისგან.

სწორედ ამ დისციპლინაში გაიმარჯვა გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ალინა ბუტაევა-ლუკა ბერულავას ქართული წყვილი. საქართველოს ფიგურისტებთან ერთად ოლიმპიური ოქროს მედლები მიიღეს ესტონეთის, რუსეთის და იაპონიის სპორტსმენებმა. ესტონეთი ვაჟთა ერთეულებში იყო წარმოდგენილი, რუსეთი – გოგონათა ერთეულებში, იაპონია – ცეკვებში, საქართველო – წყვილებში.

აღსანიშნავია, რომ ბერულავა-ბუტაევას წყვილმა საქართველოს ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველი წარმატება ლოზანაშივე ბრინჯაოს მედლის მოპოვებით მოუტანა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოიდი ↄ



შვეულად: 1. სამიჯნურო ხასიათის სპარსული ოთხსტრიქონიანი ლექსი; 2. ადამიანის სულიერი განცდის, მღელვარების გამოვლენა; 3. შვედი კინორეჟისორი; 4. მქრქალი, ცისფერი ძვირფასი ქვა; 6. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 8. წინასწარი მოკლე განცხადება სპექტაკლის, კონცერტის შესახებ; 11. ორატორული ხელოვნების თეორია; 12. დიპლომატიური წარმომადგენელი; 16. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 17. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 18. გარეული ცხოველი – მადრიდის სიმბოლო.

თარაზულად: 1. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 5. რამე შემთხვევის შემსწრე, მნახველი; 7. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 9. მეცნიერის, ფილოსოფოსის, ექიმის იბნ სინას მეორე სახელი; 10. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 13. რაიონული ცენტრი კახეთში; 14. ცხარე ბოსტნეული; 15. შაქრის ლერწმისგან დამზადებული სპირტიანი სასმელი; 19. საავადმყოფოს სახელწოდება ძველად საქართველოში; 20. ირანის საინფორმაციო სააგენტო; 21. შემაგრებული ღვინო; 22. მოდუღებული ყურძნის წვენი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა